www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 6 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3129 (222) | ფასი 50 თეთრი

დაიწყო ხელისუფლების გადაბარება

დათო გამისონია

გუშინ მთავრობის კანცელარიაში არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები ხელისუფლების გადაბარების საკითხს განიხილავდნენ. ივანიშვილის მხრიდან შექმნილ სამუშაო ჯგუფში ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და სოზარ სუბარი არიან გაერთიანებულნი. პრეზიდენტმა კი საქმეში დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და პავლე კუბლაშვილი ჩართო.

შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო. რამდენიმე ტელეარხს მხოლოდ პროტოკოლური კადრების გადაღების უფლება მისცეს. სამუშაო ოთახში შესვლამდე მხარეები მედიის თვალწინ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობის გამოხატვას არ თაკილობდნენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

შედეგები შეჯამებულია

"ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგების შეჯამება დაასრულა. 3,766 უბნიდან დათვლილია ყველა უბნის მონაცემი. ცვლილებები შეიძლება, მხოლოდ გასაჩივრების პროცედურების შედეგად მოხდეს, თუმცა რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილება ნაკლებად სავარაუდოა," - ასე შეაჯამა ცესკო-ს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა არჩევნების შედეგები.

5 ოქტომბრის მონაცემებით, "ბიძინა ივანიშვილი - ქართულმა ოცნებამ" 1 184 588 ხმა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის 54.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - მეტი სარგებელი ხალხს" მიღებული აქვს 872,336 ხმა, ანუ ამომრჩეველთა ხმების 40.4 პროცენტი. ცესკო-ს უახლესი მონაცემებით, 38 მაჟორიტარულ ოლქში "ქართული ოცნების" კანდიდატები ლიდერობენ, 35-ში კი - "ნაციონალური მოძრაობის".

დანარჩენი საარჩევნო სუბიექტების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება 5-პროცენტიან მაჩვენებელს. "ქართული ოცნების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გარდა, არჩევნებში მონაწილე 14 სუბიექტიდან ხმების ყველაზე მეტი - 2.5 პროცენტი მიიღო "გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ"; 1.24 პროცენტი - "შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტულმა პარტიამ"; 0.43 პროცენტი - "ახალმა მემარჯვენეებმა", ხოლო 0.11 პროცენტი - "ჯონდი ბაღათურია-ქართულმა დასმა".

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

გაერო-მ თურქეთზე სირიის თავდასხმა დაგმო

სალომე ჯანიაშვილი

სირიიდან ნასროლი რაკეტით დანგრეული სახლი თურქეთში

სირიას თურქეთის ტერიტორიის დაბომბვის გამო ბოდიში არ მოუხდია, მაგრამ ინციდენტის შედეგად ადამიანთა დაღუპვაზე თანაგრძნობა გამოხატა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა სირიის წარმომადგენელმა გაერო-ში.

ხუთშაბათს გაერო-ს უშიშროების საბჭომ, რომელიც თურქეთის მოთხოვნით შეიკრიბა, სირიის მხრიდან თურქეთის დაბომბვის ფაქტი დაგმო. საბჭოს წევრებმა სირიის ხელისუფლებისგან მოითხოვეს, მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

შენგელია და ტელეტოვიჩი

ნატა დავიდოვი

თორნიკე შენგელია

"ბრუკლინში" ორი ახალი პერსონაჟია. თორნიკე შენგელია ქართული სივით და მირზა ტელეტოვიჩი ბოსნიური პასპორტით. ქართველი ამერიკული კალათბურთით და ბოსნიელი ევრობასკეტის მუღამებით. თოკო, რომელიც უკვე ამერიკულად აზროვნებს და მირზა, რომელიც ევროპაში ვიტო კორლეონე იყო. "ბრუკლინი" უკეთესი, უფრო მოქნილი და ღრმა გუნდია. თოკოსთან, ტელეტოვიჩთან, ბევრ სხვა კანონმორჩილ, კარგ მოთამაშესთან ერთად.

გაგრძელება
მე-10 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6607
1 ევრო	2.1503
1 ინგლისური გირვანქა	2.6757
1 თურქული ლირა	0.9193
100 რუსული რუბლი	5.3363

თბილისი	26°C - 16°C
ქუთაისი	26°C - 16°C
თელავი	27°C - 12°C
ზუგდიდი	26°C - 15°C
ბათუმი	24°C - 16°C

ნავთობი	3.16	-0.03	-0.80%
გაზი	3.42	+0.02	+0.50%
ოქრო	1,791.20	-5.30	-0.30%
ხორბალი	869.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ბექა ბურჯანაძე: "ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ"

ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში საქართველოს ერთადერთი წარგზავნილი ჰყავს: 18 წლის ბექა ბურჯანაძე, რომელმაც გასულ ზაფხულს 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებში ითამაშა. ბურჯანაძე სევილიის "კახასოლში" უკვე რამდენიმე წელია, თამაშობს, თუმცა აქამდე ძირითადად ახალგაზრდულ გუნდებში ასპარეზობდა, გასულ აგვისტოში კი სევილიელებთან პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმა და მხოლოდ ძირითად გუნდში იასპარეზებს. ბექას ესპანეთში შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ.

- გილოცავ პრიმერადივიზიონში დებიუტს. პირველივე ტურში მოგიწია მოედანზე გასვლა...

- მართალია, მხოლოდ 5 წუთს ვითამაშე, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც საკმარისია. მწვრთნელი მენდო და მოედანზე გამიყვანა, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია. ვეცდები, მისი ნდობა გავამართლო და გუნდს დახმარება გავუწიო. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუკი თავს გამოვიჩენ, სათამაშო დროც გამეზრდება.

- ხუთ წუთში 1 სამქულიანი ჩააგდე. ალბათ მსუბუქი ფორვარდის ნაცვლად შეგიყვანა მწვრთნელმა მოედანზე...

- დიახ, მოედანზე ბრაიან ასბარის ნაცვლად შევედი, რომელიც მსუბუქი ფორვარდია, თუმცა სამიანების სროლა მაშინაც მიწევს, როცა მძიმე ფორვარდად ვთამაშობ.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

საქართველო მსოფლიო პოეზიის რუკაზე

ბელა ჩეკურიშვილი

თომას ვოლფჰართ

წიგნის სახით პოეზია ძნელად იყიდება, სამაგიეროდ, კარგად ისმინება - ეს თანამედროვე ლიტერატორთა და მარკეტოლოგთა დაკვირვებაა, თუმცა კი, თუ საუკუნეებს გადავხედავთ, პოეზია მუდამ ზეპირი გზით ვრცელდებოდა, უფრო მეტიც, იმღერებოდა. და თუკი ასწლეულთა მიღმა ეს წიგნის არქონით, ანდა წერა-კითხვის უცოდინარობით აიხსნებოდა, განათლებული საზოგადოების ტენდენციებმა გვიჩვენა, რომ წინაპართა გამოცდილება დღესაც აქტუალურია და მისაბაძი.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ჰილარი კლინტონი მიხეილ სააკაშვილს და ბიძინა ივანიშვილს ტელეფონით ესაუბრა

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონსა და "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. "ქართული ოცნების" ოფიციალური ინფორმაციით, სახელმწიფო მდივანმა ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

"ჰილარი კლინტონმა და ბიძინა ივანიშვილმა საუბრისას აქცენტი გააკეთეს შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე. ისაუბრეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შემდგომ თანამშრომლობაზე. ჰილარი კლინტონმა მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს მისი მისწრაფებისთვის, კიდევ უფრო გაღრმავდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში." - იუწყება კოალიცია.

სატელეფონო საუბარი ასევე გაიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და ამერიკის სახელმწიფო მდივანს შორის. როგორც პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მიხეილ სააკაშვილსა და ჰილარი კლინტონს შორის სატელეფონო საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ინიციატივით შედგა.

"საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის საუბრის მთავარი თემა პოსტსაარჩევნო პერიოდს ეხებოდა, კერძოდ კი იმ ზეწოლას, რომელიც დღესდღეობით საუბნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე ხორციელდება," - ნათქვამია ინფორმაციაში.

ბიძინა ივანიშვილი: მოვახერხებთ, რომ ძალიან სწრაფად გავხდეთ ნატო-ს წევრი ქვეყანა

"ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ჯონ პაქსტონი, პოლკოვნიკი ჯეიმს ომეარა, ევროპაში აშშ-ს საზღვაო ძალების უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ჯეფრი ჰარტმანი მიიღო.

შეხვედრას ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და თავდაცვის ატაშე ესწრებოდნენ. ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოულოცეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას. როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებაში.

"მეც მქონდა ინფორმაცია და ძალიან გამიხარდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ნატო-ს შენაერთებში და ამერიკელებთან ერთად, ძალიან ხშირად რთულ პოზიციებზე მოიხსენებიან. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა გავაგრძელოთ ჩვენი პარტნიორობა ავღანეთში და სხვა ცხელ წერტილებში საინტერესო სახელმწიფოებთან, პირველ რიგში, ამერიკასთან ერთად. ჩვენ ვახერხებთ და უმცროსი მეგობრის რეალურ როლს ვასრულებთ და ასეთ თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ," - დასძინა ივანიშვილმა.

ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ჯონ პაქსტონმა ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება მიულოცა და ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადაბარება უსურვა.

"მე აქ ვიმყოფები, როგორც ამერიკის შეირაღებული ძალების მეთაური ევროპაში და ამასთანავე ვარ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების წარმომადგენელი საქართველოში. საქართველო მრავალი წლის განმავლობაში იყო და არის ძალიან საიმედო და ძვირფასი პარტნიორი ამერიკისთვის. ჩვენ ძალიან მჭიდრო კავშირი გვქონდა და ერთად ვმუშაობდით ავღანეთში. ვმუშაობდით იმისთვის, რომ აგვემაღლებინა უსაფრთხოების თანამშრომლობა. ასე რომ, ჩვენ ვაფასებთ ორმხრივ ურთიერთობას საქართველოსთან. აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოს მიმართ აშშ-ს თანადგომა გამოვხატოთ. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით, რომ ავღანეთში ჩვენი სამუშაო ურთიერთობა მოკლე დროში აღდგება და თანამშრომლობას მომავალშიც გავაგრძელებთ," - განაცხადა ჯონ პაქსტონმა.

გუშინვე ბიძინა ივანიშვილი ნატო-ს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ ვილიამ ლაჰიუს შეხვდა. ვილიამ ლაჰიუმ "ქართული ოცნების" ლიდერს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

"დარწუნებულები ვართ ბიძინა ივანიშვილის გეგმებში, რეფორმებში და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების სისწორეში," - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ნატო-ს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა.

თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილი ვილიამ ლაჰიუს დაჰპირდა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება წინ სწრაფი ტემპით წაინევს, რაც ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციას კიდევ უფრო დააჩქარებს.

"კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ ნატო-ში შესვლის ძალიან კარგი შანსი გვაქვს. საუბარი ასევე ეხებოდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს. რეალურად მოვახერხებთ, რომ ძალიან სწრაფად გავხდეთ ნატო-ს წევრი ქვეყანა," - განაცხადა ივანიშვილმა.

შედეგები შეჯამებულია

პირველი გვერდიდან

"აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა დადებითად შეაფასეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეების, ასევე ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ევროპარლამენტისა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა 2 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების პროცესს პროფესიონალურად წარუძღვა. ცენტრალური საარჩევნო კომისია ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა, იგი ხშირად ატარებდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიებისა და მედიაწარმომადგენლებისთვის," - აღნიშნა ეკა აზარაშვილმა.

სპიკერის განმარტებით, საარჩევნო ადმინისტრაციას დარჩენილ პერიოდში ჩასატარებელი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, რათა შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც ძალაუფლების განაწილების იურიდიული საფუძველი იქნება.

თუმცა, ვიდრე ცესკო-ში უკანასკნელ და მთავარ დოკუმენტს მიიღებენ, ცესკო-ც და საოლქო კომისიებიც არჩევნების შესახებ შესულ საჩივრებს განიხილავენ.

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრიდან 5 დღე გავიდა, ცენტრალურ და საოლქო კომისიებთან გუშინ საპროტესტო შეკრებები კვლავ შეიმჩნეოდა. სწორედ ამიტომ ცესკო იძულებული გახდა, კიდევ ერთხელ გაევრცელებინა მოწოდება: **"ჩვენ ყურადღებით ვსწავლობთ საჩივრების სახით შემოსულ და მედიაში გავრცელებულ ყველა ინფორმაციას შესაძლო დარღვევების შესახებ. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი მედიას, თავი შეიკავონ წინასწარი დასკვნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისგან."**

გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმარტება გააკეთა ზუგდიდის 67-ე ოლქის საოლქო კომისიის სხდომაზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი ბარამიძის დასწრებაზე, რაც სხვა პარტიების წარმომადგენლებმა გააპროტესტეს.

ცესკო-ს განმარტებით, **"საკუთარი წარმომადგენლის ჩანაცვლება ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელს შეუძლია. რადგან ცესკო-მ გასცა საშვი, რომლითაც გიორგი ბარამიძე ოლქში იყო შესული, ე.ი მას ჰქონდა უფლება, რომ იქ ყოფილიყო. ეს კანონსაწინააღმდეგო არ არის,"** - აღნიშნა აზარაშვილმა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბარამიძემ საშვი 3 ოქტომბერს მიიღო და ამით "ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებელი ბართლომე შელია შეცვალა.

სპეციალურ პრესკონფერენციაზე ეკა აზარაშვილი ხაშურის არჩევნებსაც შეეხო და განაცხადა, რომ არჩევნების დღეს ხაშურის ორ უბანზე სპეცრაზმის შესვლის შესახებ ინფორმაცია პროკურატურას გადაეგზავნა.

რაც შეეხება ხაშურის სხვა უბნებზე არჩევნების შედეგების გაუქმებას, აზარაშვილი ამბობს, რომ საარჩევნო კომისიამ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და არ ცნო ბათილად რამდენიმე უბნის შედეგი. ეს გადაწყვეტილება არ ეხება იმ უბნებს, სადაც სპეცრაზმი შევიდა.

საჩივრების განხილვის შედეგები

ცესკო-ს მონაცემებით, ამ ეტაპზე სულ გაუქმებულია 9 უბნის მონაცემები. თითო უბანი გაუქმდა კასპში, მარტვილში, თეთრიწყაროში, ხულოში, საგარეჯოში, მარნეულში, გორსა და ახალციხეში.

5 ოქტომბრის სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო დარღვევების შესახებ პოლიტიკური პარტიების და არასამთავრო ორგანიზაციების მხრიდან შესული 6 საჩივარი განიხილა. მომჩივანები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები: "ახალგაზრდა იუსრიტთა ასოციაცია", "მრავალეროვანი საქართველო", "ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი" და საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება". პრეტენზიები, ძირითადად, ეხებოდა ადმინისტრაციულ გადაცდომებს საარჩევნო კომისიების წევრთა მხრიდან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა 6-დან ერთი საჩივარი დააკმაყოფილეს, რომელიც "ქართული ოცნების" წევრის მიერ იყო შეტანილი. ცესკო-ს გადაწყვეტილებით, ეს საჩივარი განსახილველად საოლქო კომისიას დაუბრუნდება.

რაც შეეხება საუბნო კომისიებს, გუშინ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ ორი უბნის შედეგები ხელახლა დაითვალა. საუბარია N86 და N89 საარჩევნო უბნების შესახებ, რომელთა შემაჯამებელ ოქმებში ბიულეტენების რაოდენობა არჩევნებში მონაწილე პირთა რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა.

სააგენტო News.ge-ის ინფორმაციით, N89 უბანზე დისბალანსია მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში, სადაც ბიულეტენთა რაოდენობა 15-ით აჭარბებს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას. ხოლო N86 უბნის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში 4-ით მეტი ბიულეტენია დაფიქსირებული.

კომისიამ იმსჯელა ხარვეზებიან შემაჯამებელ ოქმებზეც. მათგან ზოგიერთში ასევე დისბალანსი აღმოჩნდა, ხოლო ზოგზე ბეჭდები არ იყო დასმული. თუმცა არსებული დარღვევები ტექნიკური ხარვეზებით აიხსნა, რაც ჩანაწერთა წიგნმაც დაადასტურა. ამ ხარვეზებისთვის, კომისიის გადაწყვეტილებით, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს დაეკისრათ დისციპლინარული პასუხისმგებლობა შენიშვნის და გაფრთხილების სახით.

ქუჩის აქციები არჩევნების გამო

მიუხედავად "ქართული ოცნების" ლიდერის მოწოდებისა, შეწყდეს ქუჩის აქციები და საპროტესტო გამოსვლები, საარჩევნო კომისიებთან ვნებათაღელვა არ წყდება.

გარდაბანში კარვები გაიშალა და კოალიციის მაჟორიტარობის მხარდამჭერებმა შიმშილობაც დაიწყეს. პარალელურად გრძელდება საპროტესტო გამოსვლებიც. გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი მამუკა არეშიძე "ქართული ოცნების" მიერ გარდაბანში მიმდინარე აქციის ორგანიზებას უარყოფს.

"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საჩივრების განხილვა ქალაქ რუსთავში მიმდინარეობს. რაც შეეხება აქციას, მას ნეიტრალურ ტერიტორიაზე აწყობენ გარდაბნელი ამომრჩევლები, გაშლილია სამი კარავი, სადაც გარდაბნის მცხოვრებლები - ეთნიკური აზერბაიჯანელი, ქართველი და ოსი ამომრჩევლები თავიანთი ხმების დასაცავად მშვიდობიანი მეთოდით - შიმშილობით იბრძვიან. აქცია მათ მიერ არის ორგანიზებული და არა პოლიტიკური კოალიცია "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მამუკა არეშიძის მიერ," - ეს განცხადება მამუკა არეშიძემ გაავრცელა და იქვე დასძინა, რომ მას მორალური უფლება არა აქვს, ამომრჩეველს გვერდით არ ამოუდგეს და სამართლიანობის აღდგენაში არ დაეხმაროს.

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხონში "ქართული ოცნების" მხარდამჭერებმა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. კერძოდ, როგორც ტელეკომპანია იუწყება, ხმაური და დაპირისპირება ხონის საოლქო საარჩევნო კომისიასთან მას შემდეგ დაიწყო, რაც კომისიამ ოლქის შედეგების გაბათილების შესახებ "ქართული ოცნების" მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გავრცელებული ინფორმაციით, კომისიასთან შეკრებილმა კოალიციის მხარდამჭერებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს "ნაციონალური მოძრაობის" წევრ გიორგი ვაშაძეს, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს "რუსთავი 2"-ისა და "იმედის" ჟურნალისტებს და აპარატურა დაუზიანეს.

გიორგი ვაშაძის თქმით, ასეთ ვითარებაში სამართლიან მიდგომაზე საუბარი ზედმეტია.

"ეს არის პირდაპირი ზეწოლა და იგივე ხდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზეც. მე, "ნაციონალური მოძრაობის" ოფიციალური წარმომადგენელი, დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. საუბარია მხოლოდ კანონზე. ეს არეულობა კი ფსიქოლოგიური ზეწოლის ნაწილია," - აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

საარჩევნო დავამ სასამართლოში გადაინაცვლა

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის დავით ბეჟუაშვილის წარმომადგენელმა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ბეჟუაშვილი თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ N23 ქოსალარის საარჩევნო უბნის შედეგების ძალაში დატოვებას მოითხოვს. სასამართლოში იგი ამ უბანთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს.

პროცესს როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატის, დავით ბეჟუაშვილის ადვოკატები, ისე "ქართული ოცნების" იურისტები ესწრებოდნენ. სასამართლო პროცესს მოსამართლე ბესიკ გუნიაშვილი უძღვებოდა, რომელმაც მოისმინა საქმის გარშემო წარმოდგენილი მტკიცებულებები და გადაწყვეტილების გამოტანა ხვალისთვის გადადო.

სხვათა შორის, სასამართლო პროცესი კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივისტების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. აქტივისტებმა ერთ-ერთი სოფლის გამგებელზეც კი გაიწიეს და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

თეთრიწყაროს რაიონის სასამართლოს წინ მივიდა კობა სუბელიანიც, რომელმაც განაცხადა, რომ დროა უკვე ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს და შეწყდეს აქციები სასამართლოებთან და ზეწოლა როგორც საოლქო საარჩევნო კომისიებზე, ასევე სასამართლოებზე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დაიწყო ხელისუფლების გადაბარება

პირველი გვერდიდან

როგორც შეხვედრის შემდეგ ბაქრაძემ აღნიშნა, მთავარი, რაც ამ შეხვედრამ გამოაჩინა, ის არის, რომ ორივე მხარე იღებს იმ პასუხსმგებლობას, რომელიც ქვეყნის წინაში ეკისრება. მისი თქმით, შეხვედრა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი დასაწყისია.

გიგა ბოკერიას შეფასებით, შეხვედრამ საქმიან, ცივილიზებულ ატმოსფეროში ჩაიარა. **"ჩვენ ამ პროცესს გავაგრძელებთ იმისთვის, რომ მთავრობის გადაბარება კონსტიტუციის ფარგლებში სწრაფად, მშვიდობიან და საქმიან ატმოსფეროში დასრულდეს. ამ თვალსაზრისით, მხარეების განწყობა და ამოცანა ერთნაირია, რაც დადებით მოვლენად მიმაჩნია,"** - აღნიშნავს ბოკერია.

ირაკლი ალასანიას თქმით, ამ შეხვედრით სამთავრობო ტრანზიციის საკითხზე კონსულტაციები დაიწყო. ალასანიას საუბრიდან ცნობილი გახდა, რომ მხარეები მომდევნო შეხვედრას ორშაბათს გამართავენ. საუბრის მთავარი თემა კი კონკრეტულ უწყებებში კოალიციის წარმომადგენელთა მივლინების საკითხი იქნება. **"შევთანხმდით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნებაა. ყველა პროცესი სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა წარიმართოს,"** - თქვა ალასანიამ. მანვე დასძინა, რომ ქვეყნის მომავალი პრემიერ-მინისტრი მოემზადება მთავრობის დაკომპლექტებისთვის, რაც უმტკივნეულოდ და სწრაფად უნდა მოხდეს.

წარმომადგენელთა საკითხი დავით უსუფაშვილმა განავრცო. მან ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ახალი მთავრობის ფორმირებამდე "ქართული ოცნების" წარმომადგენლები სხვადასხვა უწყებებში არსებულ ვითარებას გაეცნობიან, რათა გადაბარების პროცესი უმტკივნეულო იყოს. **"საერთაშორისო ურთიერთობებში, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში შეფერხებების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, ჩვენი წარმომადგენლები სამინისტროებისა და სხვადასხვა უწყებების მუშაობის სპეციფიკას თანდათან გაეცნონ. რაც შეეხება ევროკავშირთან მოლაპარაკებებსა და ჟენევის დისკუსიას, კოალიციის წარმომადგენლებიც დაესწრებიან,"** - ამბობს დავით უსუფაშვილი. მისივე თქმით, მთავრობის ოფიციალურად დამტკიცებამდე კოალიცია წარმომადგენლებს ძალოვან სტრუქტურებში მიავლენს. **"წარმომადგენელთა ვინაობა მომავალ კვირაში გახდება ცნობილი,"** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

დავით ბაქრაძე ადასტურებს, რომ ორშაბათს დანიშნულ შეხვედრაზე განიხილება ყველა კონკრეტული საკითხი და მექანიზმი, რაც ხელისუფლების გადაცემას ეხება.

"შევთანხმდით, რომ ერთმანეთს ხელოვნურ პრობლემებს არ შევუქმნით. მართალია, კონსტიტუციით პრეზიდენტს მთავრობის ფორმირების შეფერხების შესაძლებლობა აქვს, მაგრამ ის ამას არ აპირებს. მთავრობას, მათ შორის ძალოვან მინისტრებს, გამარჯვებული კოალიცია "ქართული ოცნება" სრულად დააკომპლექტებს," - განაცხადა ბაქრაძემ. მან ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის შეხვედრაც არ გამორიცხა, თუმცა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ეს საკითხი არ განხილულა. ბაქრაძემ ამ საკითხზე პირადი მოსაზრებაც გამოთქვა: **"ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის შეხვედრა მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება."**

ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის შეხვედრის საკითხის გარკვევამდე კოალიციის ლიდერმა ახალი მთავრობის შემადგენლობაზე ისაუბრა. ის მინისტრობის კანდიდატებს ორშაბათს დაასახელებს. **"მანამდე მთავრობის შემადგენლობის საკუთარ პროექტს გუნდის წევრებთან შევაჯერებ,"** - ამბობს ივანიშვილი. როგორც მან ჟურნალისტებს უთხრა, ყველა მოქმედი მინისტრი შეიცვლება, ბევრი მოადგილე შეიძლება, დარჩეს. ივანიშვილი უფრო ქვედა დონეზე დასაქმებულ პირებს ჰპირდება, რომ მათ არ შეეხებიან. **"სპეციფიკური შემთხვევების გარდა, თანამდებობას ყველა საჯარო მოხელე შეინარჩუნებს,"** - აღნიშნა ივანიშვილმა.

იმ სირთულეების შესახებ კი, რომლებიც ხელისუფლების გადაბარების პროცესს მოჰყვა, დავით ბაქრაძემ ისაუბრა. მან აქცენტი ბოლო დღეებში კრიმინალთა გააქტიურებაზე გააკეთა. როგორც ბაქრაძე ამბობს, საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლების დემოკრატიულად გადაბარება მიმდინარეობს. მისი თქმით, გამოცდილების არარსებობის გამო გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იფიქრებენ, რომ დადგა დრო, როდესაც საზოგადოების ხარჯზე უნდა "იხეირონ" და შესაძლოა, ჩაიდინონ ის, რასაც აქამდე ვერ აკეთებდნენ. **"ამ თემებზე, რა თქმა უნდა, კოალიციის სამუშაო ჯგუფთან ვისაუბრეთ. ესეც ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხია. მოქმედი ხელისუფლება, სანამ მუშაობს, ყველა სამინისტრო ფუნქციონირებას გამართულად გააგრძელებს, მათ შორის - შინაგან საქმეთა სამინისტრო,"** - თქვა დავით ბაქრაძემ.

"ბიძინა ივანიშვილს დიდი გამოწვევა ელის"

მარი ახსიაშვილი

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები კვლავ რჩება უცხოური პრესის განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად. როგორც ბრიტანული ჟურნალი "ეკონომისტი" წერს, "ქართული ოცნების" გამარჯვება და "ნაციონალური მოძრაობის" მიერ ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა ტრიუმფად შეიძლება, მხოლოდ მაშინ შეფასდეს, თუ გამარჯვებულებიც ისევე კარგად მოიქცევიან, როგორც დამარცხებულები".

ავტორის თქმით, საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაცია კარგი იქნება, მაგრამ რეფორმების გაგრძელება - უკეთესი. ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის კოალიცია მისივე გულუხვობის წყალობით არის გაერთიანებული.

"ივანიშვილის ხალიჩასავით ჭრელ ოპოზიციას, ძირითადად, მისი სიდიდე აერთიანებს. მის რიგებში არიან ქსენოფობები, შოვინისტები და ისინი, ვისაც ძველი დრო ენატრება. გარკვეულ შეზღუდვას გამორჩეულად პროდასავლელი ლიბერალები აწესებენ, რომლებიც ადრე სააკაშვილს გამოეყვნენ. კამპანიის პროცესში "ქართულმა ოცნებამ" იოლად მოახერხა ხელისუფლებაზე თავდასხმა, მაგრამ თავად განსაკუთრებული დაკვირვების განი არ გამხდარა. ახლა გახდება. მისი პოლიტიკური პლატფორმა - რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება და უფრო სამართლიანი საზოგადოება - შემაშფოთებლად ბუნდოვანია. საქართველო შესაძლოა, სტაგნაციაში შევიდეს ან უფრო ცუდი რამ მოხდეს - გაჰყვეს სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გზას ავტოკრატიული კაპიტალიზმისკენ, რომელიც კრემლის ჩრდილქვეშ იმუშავებს," - წერს "ეკონომისტი".

ფრანგული გაზეთი "ფიგარო" კი საქართველოში გამართული არჩევნების შესახებ იზაბელ ლასერის სტატიას აქვეყნებს. სტატიაში ნათქვამია, რომ ივანიშვილის მომხრეები საარჩევნო კომისიებს უტევენ, რათა მათი პარტიის წარმატება კიდევ უფრო გაიზარდოს. "ფიგაროს" ინფორმაციით, ოთხშაბათიდან მოყოლებული, ინციდენტები ხდება იმ ოც საარჩევნო ოლქში, რომლებშიც სააკაშვილმა გაიმარჯვა.

"სცენარი ყველგან ერთი და იგივეა: "ქართული ოცნების" მომხრეები აცხადებენ, რომ დაფიქსირდა მმართველი პარტიის მიერ არჩევნების დარღვევების ფაქტი, რის შემდეგაც იერიში მიაქვთ საარჩევნო კომისიებზე, ემუქრებიან ან ფიზიკურად ზემოქმედებენ საარჩევნო კომისიების წევრებზე და ითხოვენ არჩევნების შედეგების გაუქმებას," - წერს იზაბელ ლასერი.

ავტორი განმარტავს, რომ საქართველოში მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს, ვიდრე 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული "ქართული ოცნების" კოალიცია და აქედან გამომდნარე, სანამ კონსტიტუცია შეიცვლება, ქვეყნის მეთაურს თეორიულად ჯერ კიდევ შეუძლია რევანშის აღება - მას პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს.

გაზეთის ინფორმაციით, დასავლეთში მიიჩნევენ, რომ მოვლენების ასე განვითარების თავიდან ასაცილებლად ივანიშვილის ბლოკი მიხეილ სააკაშვილის ჩამოგდების გეგმას ამზადებს. "ფიგარო" წერს, რომ მოგებული გუნდი ცდილობს, დაშინებით მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა (პარლამენტის 150 ადგილიდან 101 ადგილი).

"საერთაშორისო საზოგადოებამ ამის გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვა. ამერიკის ელჩი საქართველოში პირადად ჩავიდა ზუგდიდში, რათა დაძაბულობა შეემცირებინა. ევროპის სახალხო პარტიის მრავალმა წევრმა, რომლებიც არჩევნებს აკვირდებიან, ივანიშვილის კოალიციას მოუწოდა, დაიცვან კონსტიტუცია და არ მოახდინონ "საქართველოში ჩატარებული ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების" დისკრიდიტაცია, - წერს იზაბელ ლასერი და კითხვას სვამს - **ევროპელთა რეაქციის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა თავის მომხრეებს, შეწყვიტონ აქციები. შეისმენენ კი მის მოწოდებას?"**

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს სარედაქციო წერილს უძღვნის ესპანური გამოცემა "ელ პაისი". სტატიაში, სათაურით - "საქართველო ხმას აძლევს ცვლილებებს", ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილს დიდი გამოწვევა ელის წინ.

"მან მოსკოვთან ურთიერთობა ისე უნდა მოაწესრიგოს, რომ ქვეყნის მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებად კვლავ ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია დარჩეს," - აღნიშნავს "ელ პაისი".

"ქართული დემოკრატიის მარში" - ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას "ნიუ იორკ ტაიმსი". ჟურნალისტმა ჯობ ჰეინინგმა საპარალამენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვებას ტრიუმფალური უწოდა, ხოლო თავად გამარჯვების ფაქტს - დემოკრატიის გზაზე წინგადადგმული გიგანტური ნაბიჯი. ავტორი აღნიშნავს, რომ დემოკრატიის აღზევება საქართველოში აშშ-ს გამარჯვებასაც ნიშნავს, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა კი, რაც რეგიონისთვის უპრეცედენტო ფაქტად უნდა შეფასდეს, ამ რეგიონის სტაბილურობის გარანტიაა.

სააკაშვილი: "კანონიერმა ქურდებმა საზღვარი ვერ უნდა გადმოკვეთონ"

ბოლო დღეებში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან ეკა ზღულაძესთან და ქვეყნის მთავარ პროკურორთან მურთაზ ზოდელავასთან თათბირი გამართა.

როგორც სააგენტო news.ge იუწყება, რომ მიხეილ სააკაშვილმა უწყებების ხელმძღვანელებს დანაშაულზე რეაგირება დაავალა.

"ჩვენი პასუხისმგებლობა, მოქმედი ხელმძღვანელობის, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, თითოეული პოლიციელის, პროკურატურის თითოეული თანამშრომელის, არის ის, რომ არ დაუშვან, არცერთ გარემოებაში, ქვეყანაში წესრიგის და კანონიერების მოშლა. აღარ ვართ 90-იან წლებში და თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ ახლა დადგა მათი დრო, მე ვფიქრობ რომ ისინი ცდებიან. დაელაპარაკეთ პროკურატურის ყველა თანამშრომელს, ყველა პოლიციელს, იმუშავონ ისე, როგორც ყოველთვის, დაამყარონ კანონიერება და წესრიგი.

ძარცვები, დაყაჩაღებები, მანქანის გატაცებები და სხვა ტიპის ძალადობრივი გამოვლინებები, უნდა აღიკვეთოს, როგორც იყო აღკვეთილი ბოლო წლების განმავლობაში. ჩვენ ყველა დემოკრატიას, ქართველი ხალხის არჩევანს პატივს ვცემთ. თვქენ გადააბარებთ ძალაუფლებას შემდეგ მინისტრს, როგორც არის წესით და რიგით გათვალისწინებული. ამავე დროს, ეს არ უნდა აისახოს მოქალაქეების ყოველდღიურ უსაფრთხოებაზე. ეს არის ხელშეუხებელი. აქამდე გვქონდა დანაშაულის ყველაზე დაბალი დონე ევრპაში. მკაცრად უნდა გავაკონტროლოთ, რომ კანონიერმა ქურდებმა არ გადმოკვეთონ საქართველოს საზღვარი. საქართველოს კანონმდებლობით, კანონიერი ქურდობა ისჯება სისხლის სამართლებრივად. დემოკრატიის პირობებში, მათი დრო არასდრო არ დადგება", - მიმართავს პრეზიდენტი მინისტრებს.

პრეზიდენტი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, პატივი სცენ კონსტიტუციას. ამასთან, სააკაშვილმა, გახშირებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების მინისტრთან გიორგი ტუღუშთან შეხვედრა დაგეგმა.

პოლიტიკისგან თავისუფალი სასამართლო

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა გუშინ დილით სპეციალური ბრიფინგი გამართა, რომელზეც მიწვეული იყვნენ აშშ-ის, ევროკავშირის, ჰოლანდიის, ესპანეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ელჩები და საფრანგეთის ელჩის მოადგილე. კოტე კუბლაშვილის განცხადებით, გუშინ დილით მოხდა შემთხვევა, რომლის თაობაზეც საქმის კურსში დიპლომატიური კორპუსი ჩააყენა. შეხვედრისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს სასამართლო რეფორმების შესახებ ინფორმაციაც მიაწოდა.

კონსტანტინე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოს მიმართ ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან მუქარის შესახებ.

"მე მათ ვუთხარი, რომ ჩვენთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია," - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

მისი განცხადებით, "ქართული ოცნების" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაარღვია მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის შესახებ კანონი.

"ქართული ოცნების ეს წარმომადგენელი მივიდა მოსამართლესთან სახლში და ესაუბრა კონკრეტულ საარჩევნო დავაზე. ჩვენ ამასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ და ამ ადამიანს ფინანსური ჯარიმა დაეკისრება," - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არც ქართული ოცნების" წარმომადგენლისა და არც მოსამართლის ვინაობა არ დაუკონკრეტებია.

მისი თქმით, საერთო ჯამში, სასამართლო სისტემა არანაირად არაა დაკავშირებული და არ ჩაერევა პოლიტიკურ ცვლილებებში. კუბლაშვილის განცხადებით, სისტემა გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ მოსამართლეებმა და მთლიანად სასამართლომ პოლიტიკური ჩარევების გარეშე იმუშაოს.

"ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევისა და მუქარის გარეშე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სასამართლო არის და უნდა იყოს დამოუკიდებელი იმ პოლიტიკური პროცესებისგან, რომელიც ხორციელდება," - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

არასამთავრობოები "ქართული ოცნების" მხარდამჭერების საქციელს გმობენ

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" მარნეულის გამგეობაში პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს გმობენ.

ორგანიზაციების დამკვირვებლების ინფორმაციით, გუშინ, მარნეულის გამგეობის შენობაში შეიჭრნენ კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივისტები, რომლებიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ გამგეობის თანამშრომლებს. ადგილი ჰქონდა გამგებლის მოადგილისა და მისი მძღოლის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს.

"ეს უკანასკნელი გადაყვანილია საავადმყოფოში. მარნეულის გამგებლის განცხადებით, ფიზიკურ ძალადობას მის მიმართაც ჰქონდა ადგილი," - წერია არასამთავრობოების განცხადებაში.

ორგანიზაციები პოლიტიკური პარტიების ლიდერებს მოუწოდებენ, უზრუნველყონ კოალიციის აქტივისტებისა და მხარდამჭერების მიერ პოლიტიკური ნიშნით ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა.

მომავალი პრემიერის პირველი შეხვედრა ბიზნესმენებთან

"ხელისუფლება და ჩინოვნიკები კერძო ბიზნესში არ ჩაერევიან"

ნატა ნინიძე

"ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ბიზნესმენებს შეხვდა. მედიისთვის ღია შეხვედრაზე ივანიშვილმა ბიზნესის წარმომადგენლებს პირობა მისცა, რომ ვერავინ გაბედავს მათზე ზეწოლას.

"ქართული ოცნების" ლიდერმა ბიზნესმენებს სთხოვა, თუ ვინმე კავშირშია ფასებთან და მონოპოლიებთან და კარტელურ შეთანხმებებში მონაწილეობს, ამაზე უარი თქვას.

კოალიციის ლიდერი აცხადებს, რომ მონოპოლიებს კანონის საშუალებით აუცილებლად შეებრძოლებიან. მისივე თქმით, ხელისუფლება და ჩინოვნიკები კერძო ბიზნესში ჩარევას ვერ გაბედავენ და ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოში კერძო საკუთრება და ბიზნესი დაცული იყოს. "ეს უნდა იყოს საფუძველი, რომ საქართველოში ბიზნესი რეალურად განვითარდეს, ასევე ეკონომიკის აღორძინებისთვის და იმ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რასაც უმუშევრობა ჰქვია," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, მისი მთავრობა ანტიმონოპოლიურ კომიტეტს შექმნის და არ დაუშვებს დღევანდელ მდგომარეობას, "როდესაც ეკონომიკა მონოპოლიებით და კარტელური შეთანხმებებით იმართება".

ბიძინა ივანიშვილის თქმით, თავად იქნება გარანტი იმისა, რომ ამიერიდან ვეღარავინ გაბედავს ბიზნესზე ზეწოლას. "ოღონდ თქვენ არ დაექვემდებაროთ ზეწოლას. როგორც კი ვინმე ეცდება ზეწოლას, თქვით, რათა ჩვენ შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ," - უპასუხა ივანიშვილმა.

"ქართული ოცნების" ლიდერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჩინოვნიკები ბიზნესში ვეღარ ჩაერევიან, პროკურატურა და პოლიცია ხალხისა და ბიზნესის სამსახურში ჩადგება, სასამართლო სამართლიანი იქნება, საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ გააუქმა, აღდგება.

ივანიშვილის საპასუხოდ ფარმაცევტული კომპანია "ავერსის" მფლობელმა პაატა კურტანიძემ განაცხადა, რომ უშუალოდ ფარმაცევტულ სფეროში მონოპოლია არ არსებობს. "2006 წლის 5 აგვისტოს გაუქმდა ბაზრის ლიცენზია და ფარმაცევტული მედიკამენტების შემოტანა ყველას შეუძლია. "ავერსი" 18 წელია, ბაზარზე არსებობს და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად დღეს ბაზრის 20 პროცენტს ვიკავებთ. არც ედუარდ შევარდნაძის და არც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს კანონი არ დაგვირღვევია და ამას არც მომავალში ვაპირებთ. გეთანხმებით, რომ მონოპოლისტები არ უნდა არსებობდნენ და ძალიან კარგია, რომ მონოპოლისტობას წყვეტს არა ძველი ან ახალი მთავრობა, არამედ ანტიმონოპოლიური სააგენტო. ჩვენი რენტაბელობა 5 პროცენტია და ეს იმის დამსახურებაა, რომ მედიკამენტებს, რეალიზაციასთან ერთად, ვაწარმოებთ კიდეც," - განაცხადა კურტანიძემ.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილს უმტკიცებდა, რომ საბანკო სექტორი პოლიტიზებული არ არის.

"საზოგადოებაში მუსირებს აზრი, თითქოს ბანკირები "ჰალსტუხიანი ყაჩაღები ვართ". ეს ასე არ არის. საბანკო სექტორის დაზარალება მხოლოდ პოლიტიკას შეუძლია და ბანკები პოლიტიკისგან შორს უნდა იდგნენ," - მიმართა გვასალიამ ივანიშვილს.

კოალიციის ლიდერის თქმით, ის, რომ "საბანკო სექტორი პოლიტიზებული იყო, "ქართუ ბანკის" ირგვლივ შექმნილი მოვლენების დროს კარგად გამოჩნდა". "უნდა შევეცადოთ, რომ ორმხრივი მცდელობით გავთავისუფლდეთ და ის, რაც გაწუხებთ, ჩამოიფერთხოთ, სახელმწიფოს კი იმის შესრულება მოსთხოვოთ, რაც ევალება. არავითარი მეგობრობა ხელისუფლებასთან - მხოლოდ კანონის ფარგლებში თანამშრომლობა," - აღნიშნა ივანიშვილმა.

გუშინდელ შეხვედრაზე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა ნდობის ჩამოყალიბების შეხვედრა უწოდა, ქართული ბიზნესის ათეულობით წარმომადგენელი იყო მისული, კოალიციის მხრიდან კი ექსპერტი გია ხუხაშვილი, "ქართუ ბანკის" პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნოდარ ხადური იმყოფებოდნენ.

საწვავის, პირველადი მოხმარების პროდუქციისა და ელექტროენერგიის გაიაფების პერსპექტივა

ნინო ნარჩემაშვილი

კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის ლევან იზორიას განცხადებით, "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ოფიციალურად მოსვლის შემდეგ საწვავის ფასი საშუალოდ 20 თეთრით შემცირდება. მისი თქმით, ბაზარზე საწვავის ფასი ხელოვნურადაა გაზრდილი და მონოპოლიური სიტუაცია საწვავის ღირებულების შემცირების საფუძველს არ იძლეოდა. მისი განმარტებით, ხელისუფლებაში კოალიცია "ქართული ოცნების" ოფიციალურად მოსვლის შემდეგ ბაზარზე მონოპოლია აღარ იარსებებს და კონკურენტუნარიანი გარემო კომპანიებს იძულებულს გახდის, მომხმარებელს საწვავი გაცილებით დაბალ ფასად შესთავაზონ. "ყველა ბენზინგასამართ სადგურზე ერთსა და იმავე დროს იკლებს და მატულობს საწვავის ფასი. ყველა ხვდება, რომ ფასი ხელოვნურად იზრდება, არ შეიძლება, აზერბაიჯანიდან და ევროპიდან შემოტანილი საწვავი ერთი და იგივე ფასი ღირდეს," - აცხადებს იზორია.

მისივე თქმით, კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფასები არა მარტო საწვავზე, არამედ პირველადი მოხმარების პროდუქციასა და ელექტროენერგიაზეც შემცირდება. ამ განცხადების საფუძვლად იზორია ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას ასახელებს, რასაც, მისი თქმით, კოალიცია უზრუნველყოფს.

ლევან იზორია საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზრის არაკონკურენტული მდგომარეობის შესახებ რამდენიმე თვის წინ პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან საქართველოში კონკურენციის პოლიტიკისა და პრაქტიკის საკითხების განხილვისასაც საუბრობდა. მისი განცხადებით, საქართველოში საწვავის სარეალიზაციოდ შემოტანის უფლებას, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებიდან მხოლოდ 5 კომპანიას აძლევენ. ლევან იზორია იმ მეთოდების შესახებაც საუბრობდა, რომელიც პოტენციურ იმპორტიორებს საბაჟოზე ექმნებათ. მისი თქმით, "როდესაც კონკურენტი კომპანია საქართველოში სარეალიზაციოდ საწვავს შემოიტანს, შეიძლება, მას ხარისხის გამო შეედავონ, დააჯარიმონ, პროდუქცია დააყოვნონ. საბაჟოზე პროდუქტის შეჩერება კი დამატებით ხარჯებს იწვევს და იმპორტიორს მისი შემოტანა აღარ უღირს."

იზორია საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე კარტელური შეთანხმებების შესახებაც საუბრობდა. კერძოდ, მისი თქმით, იმის გამო, რომ ფასები ხელოვნურად არის დადგენილი, 5 კომპანია ზემოგებაზე მუშაობს. "ამის მტკიცებულება ის არის, რომ 13, 26 თებერვალს და 18 მარტს ხუთმა კომპანიამ საწვავის ფასი ერთდროულად, 5 თეთრით გაზარდა საერთოდ, ხუთივე კომპანიას რეგულარის ბენზინზე ერთი და იგივე ფასი აქვს. ევროპიდან შემოტანილ ბენზინს და აზერბაიჯანიდან შემოტანილ "სოკარის" ბენზინს, როგორ შეიძლება ერთნაირი ფასი ჰქონდეს დაწესებული. აზერბაიჯანის საწვავის ტრანსპორტირება გაცილებით იაფი ჯდება. გარდა ამისა, ევროპული ბენზინი მაღალი ხარისხისაა და უფრო ძვირი ღირს."

მისივე განცხადებით, "საერთაშორისო ბირჟებზე ფასების კლების ტენდენციის მიუხედავად, საქართველოს საცალო ბაზარზე ფასები შენარჩუნებულია ან იზრდება. თუ ბაზარზე რეალური კონკურენციაა და ის შეჯიბრობითობის პრინციპს ემყარება, საერთაშორისო ბირჟაზე ფასის დაწევა საცალო ბაზარზე რატომ არ აისახა? საქართველოში დაწესებულ ხელოვნურ ფასსა და საერთაშორისო ბირჟებზე არსებულ ფასებს შორის სხვაობის საშუალო ზღვარი 20-დან 25 თეთრამდე მერყეობს, ზოგჯერ 40-მდეც ადის. ეს წლიურად 200-300 მილიონი ლარის მოგებას იძლევა."

რატომ ძვირდებოდა ბენზინი

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი კი ფასების ზრდას მუდმივად უკავშირებს საერთაშორისო მონაცემებს - "გაძვირება საერთშორისო ბაზრებზე ნავთობის ზრდას უკავშირდება. ბარელი ნავთობის ფასი ბოლო სამი თვის მანძილზე ყველაზე მაღალი დაფიქსირდა. ასევე, ტონა ბენზინი პლაცის (PLATT"S) მიხედვით, 1 ივლისის შემდეგ, ტონაზე 200 დოლარითაა გაზრდილი, ხოლო დიზელი 150 დოლარით. ანუ ბოლო სამი თვის განმავლობაში, მსოფლიო ბაზარზე ფასების მატების ტენდენცია შეინიშნება, ამიტომ ფასების ერთდღიანი კლება, ჩვენს ფასებზე არ აისახება". ვანო მთვრალაშვილის თქმით, ფასების მატებას სწორედ პლაცის ფასი განაპირობებს, რომელიც სოლიდურად გაზრდილია.

ეკონომისტი დემურ გიორხელიძე ამ ფაქტს მონოპოლიური ბაზრითა და ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებით ხსნის. "ფასების გაზრდა არაფერს უკავშირდება. ესაა მონოპოლური ბაზრის უბედურება. ხელისუფლების ნება-სურვილი რომ არ იყოს, ერთ თეთრსაც ვერ მოუმატებდნენ. ეს დამატებითი ზემოგებაა - ერთი თვის განმავლობაში ძალიან დიდი თანხა!" - აცხადებს ის.

ბაზარზე კონკურენცია არ რეგულირდება

ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" აცხადებს, რომ ბაზარზე კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ზედამხედველობა არ ხდება. ორგანიზაციის მიერ აგვისტოს თვეში გამოქვეყნებული კვლევის , "კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში" ანგარიშში საქართველოში ნავთობპროდუქტებისა და სურსათის ბაზრებზე კონკურენციის თვალსაზრისით არსებული პრობლემებია გაანალიზებული. კვლევაში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემთხვევაში ორგანიზაციის განმარტებით, უზრუნველყოფილი იქნება ბაზარზე არსებული კონკურენციის ეფექტიანი რეგულირება.

კვლევაში ნათქვამია, რომ 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს ეკონომიკა, მთლიანობაში პოზიტიურად განვითარდა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ვარდნა 2009 წელს ფიქსირდება, რომელიც გამოწვეული იყო ორმაგი უარყოფითი შოკით, რაც უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომს და მეორე მხრივ, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, კერძოდ, საქართველოზე მის გავლენას. კვლევაში ნათქვამია, რომ ასევე სუსტია საქართველოს პოზიცია საკუთრების უფლების ალიანსის (PRA) მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური "საერთაშორისო საკუთრების უფლების ინდექსის" 2011 წლის რეიტინგის მიხედვით, რომელშიც მას მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის 113-ე ადგილი უკავია და იმ ქვეყნების 20%-ში შედის, რომლებმაც მოცემული რეიტინგის მიხედვით ყველაზე ცუდი შედეგები აჩვენეს.

ანგარიშში მოყვანილია ეკონომიკის ექსპერტის ვლადიმერ პაპავას სიტყვები, რომ "ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის ყველაზე ადეკვატურ ასახვას იძლევა არა სხვადასხვა რეიტინგი, არამედ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ რთულია, - ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი, საქართველოს მოსახლეობის 20% სიღარიბის ზღვრის ქვემოთ იმყოფება, 60% კი - საშუალო მოხმარების ("საშუალო" მომხმარებლის მოხმარების) ზღვრის ქვემოთ. ექსპერტების შეფასებით, მოსახლეობის 86% სერიოზულ სოციალურ სიძნელეებს განიცდის," - აღნიშნავს ეკონომიკის ექსპერტი ვლადიმერ პაპავა.

ორგანიზაცია საყურადღებოდ მიიჩნევს საქართველოს ეკონომიკაში ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოვლენილ ზოგიერთ ტენდენციას, კერძოდ, პროდუქტებისა და საწვავის ფასების ზრდას. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2010 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ბაზარზე კვების პროდუქტების ფასების ზრდამ საქართველოზეც მოახდინა გავლენა, რადგანაც სურსათზე განეული ხარჯების ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში მაღალია. კვლევის მიხედვთ, 2007-2009 წლებში ეს წილი 43% იყო, ხოლო 2010-2011 წლებში - 38,8%. გამჭვირვალობას საყურადღებოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ კვების პროდუქტების ბაზარზე არაკონკურენტული გარემო არ ახდენდეს ფასებზე გავლენას. "გამჭვირვალობის" თქმით, საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ნატურალური რძის და წარმოებული ხორცპროდუქტების ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ქართულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. დანაკლისი იმპორტით ივსება. რძის პროდუქტების შემთხვევაში ასევე გამოიყენება რძის ფხვნილი და მცენარეული ცხიმი.

"რძის პროდუქტების ბაზარზე არსებულ პრობლემებს შორის პროდუქციის ფალსიფიკაციას და ეტიკეტირების წესების დარღვევას გამოყოფენ, ხორცპროდუქტების ბაზარზე კი ძირითადად პროდუქციის უვნებლობის პრობლემა გამოიყოფა. პრობლემაა ასევე ხორცპროდუქტებში საკვები დანამატების გამოყენება და მათი კონტროლის სისტემის არარსებობა", - განმარტავენ კვლევაში. აქვე ნათქვამია, რომ ქართულ ბაზარზე ბოლო პერიოდში რძის პროდუქტებისა და ხორცპროდუქტების ფასების ზრდის მკვეთრად გამოხატული დინამიკა შეინიშნება. ამასთანავე, ბაზრის წამყვანი ფირმების მიერ მიწოდებული ერთგვაროვანი პროდუქტების ფასებზე დაკვირვება მათი პარალელიზმის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას ავლენს.

"გამჭვირვალობის" ცნობით, 2004 წელს სურსათის უვნებლობის სფეროში დაწყებული რეფორმა 2006 წელს შეჩერებულ იქნა. შედეგად, აღარ არსებობდა სტაბილური სახელმწიფო ზედამხედველობა სურსათის უვნებლობაზე, რაც მომხმარებლის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს სერიოზულ რისკს უქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ფასების ცვლილების მიზეზად მხოლოდ გარე ფაქტორებს ასახელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). მის ვებგვერდზე გაცხადებულია, რომ სებ-ი მისი საქმიანობის უმთავრესი მიზნის - ფასების სტაბილურობის მისაღწევად და ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული, ინფლაციის საპროგნოზო და საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მაკროეკონომიკური მოდელით. საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია 2012-2014 წლებისათვის განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით "2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", სადაც ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს - "2012-2014 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები, ძირითადად, არის ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა."

ეგვიპტის ახალი ურთიერთობები ამერიკასა და ჩინეთთან

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის დროს ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსის, ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადისგან განსხვავებით, დასავლეთის ცივილიზაციების გამკიცხავი განცხადებები არ გაუკეთებია. ეგვიპტის პრეზიდენტი ვაშინგტონთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შეჩერებასაც არ აპირებს. გაერო-ს გენერალურ ასამბლეამდე "ნიუ-იორკ ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ ამერიკას და ეგვიპტეს შეუძლიათ, "ნამდვილი მეგობრები იყვნენ."

ამასთან, მოჰამედ მურსი თეირანაში მიუმხობელთა მოძრაობის სამიტს დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ცდილობს, ირანის დიპლომატიური იზოლაცია კიდევ უფრო გაზარდოს. მურსი ირანთან დიპლომატიური დიალოგისთვის მზად არის და გაერო-ში საკუთარ გამოსვლაში ისიც აღნიშნა, რომ "ირანს გააჩნია უფლება, ფლობდეს ბირთვულ ენერგიას."

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ქვეყანას ამერიკის დახმარება სჭირდება, რაც გასული წლის განმავლობაში ორჯერ შეწყდა. პირველად მაშინ, როდესაც ეგვიპტის ხელისუფლებამ ეგვიპტეში ამერიკელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დააკავა და მეორედ ცოტა ხნის წინ, როდესაც ანტიისლამური ფილმის წინააღდეგ დემონსტრაციები ეგვიპტეში ამერიკის საელჩოსთან იმართებოდა. შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის კონგრესს ნაკლებად სურს, ეგვიპტის ხელისუფლებას მსხვილი ჩეკების გამოწერა გაუგრძელოს.

თუმცა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მოჰამედ მურსი ბოლო შეხვედრისას დაარწმუნა, რომ ეგვიპტე ამერიკისაგან მიიღებს როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკურ დახმარებას. თუმცა, საკითხავია, გაგრძელდება თუ არა ეს დახმარება ამერიკაში ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედგომ, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში.

არ გამორიცხავენ, რომ მურსის მთავრობამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ამერიკის შემცვლელზე დაიწყოს ფიქრი. აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების გარდა, აგვისტოში მურსის პირველი დიპლომატიური ვიზიტი არა ვაშინგტონში, არამედ პეკინში შედგა. მურსი ქვეყანაში ჩინეთის ინვესტიციების მოზიდვას ცდილობს. პეკინში ვიზიტისას პრეზიდენტმა განაცხადა: "გვინდა, რომ "აბრეშუმის გზა" კვლავ აკავშირებდეს პირდაპირ ეგვიპტესა და ჩინეთს."

თუმცა, საკითხავია, არის თუ არა მზად ჩინეთი, ეგვიპტესთან უფრო ახლო ურთიერთობა დაამყაროს და მიესალმება თუ არა პანარაბული მოძრაობა "მუსლიმანი ძმები" ჩინეთთან ახლო კავშირებს? სავარაუდოდ, ჩინეთის დაინტერესებას ეგვიპტე ყველაზე მეტად სუეცის არხით შეძლებს. ჩინური ფირმები უკვე აკონტროლებენ ნავსადგურებს პანამის არხის ორივე ბოლოში და თუ ეგვიპტე შესთავაზებს სუეცის არხის მართვაში მონაწილეობას, ჩინეთს, სავარაუდოდ, უარის თქმა გაუჭირდება. ეს კი გლობალურ არენაზე ჩინეთის მიერ სერიოზული განაცხადის გაკეთებას ნიშნავს. ეს ნაბიჯი მკაფიო გზავნილი გახდება ვაშინგტონისადმი, რომ ის ქალაქში მთავარი მოთამაშე აღარ იქნება.

მსგავსი პრეცედენტი კი ჩინეთის ისტორიაში უკვე არსებობს - გამალ ნასერმა, როდესაც მას ამერიკის პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა დაეძაბა, მხარდაჭერისთვის საბჭოთა კავშირს მიმართა. ახლა, როდესაც ვაშინგტონი და კაირო ფრთხილად გადახედავენ საკუთარ ურთიერთობას, საკითხავია, აინტერესებს თუ არა პეკინს, ამ რეგიონის ქვეყნების ალტერნატიული სპონსორი გახდეს.

ნიკოლას გვოზდევი
"World Politics Review"-ს
მიხედვით მოამზადა
თამთა კახაძემ

პუტინის წარმატებული ვიზიტი ტაჯიკეთში

რუსეთის პრეზიდენტი ტაჯიკეთში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა. პუტინის სტუმრობა დაემთხვა მასპინძლის, ტაჯიკეთის პრეზიდენტ ემამოლი რახმონის დაბადების დღეს - მას 5 ოქტომბერს 60 წელი შეუსრულდა. ეს პუტინის ხუმრობის საფუძველიც გახდა. "ბრძენი ადამიანი ხართ და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მომიწვიეთ დაბადების დღეზე და ახლა ყველა ხელშეკრულებას უნდა მოვაწერო ხელი, რომელსაც შემომთავაზებთ. დაბადების დღეზე უარს ხომ ვერ გეტყვით," - აღნიშნა პუტინმა პრესკონფერენციაზე. მან რახმონს პირადი საჩუქარიც ჩაუტანა - უახლესი რუსული სნაიპერული შაშხანა. მართლა სერიოზული სახელმწიფოებრივი საჩუქარი კი სტუმარს მასპინძელმა გაუკეთა. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, რუსული #201 სამხედრო ბაზა ტაჯიკეთში 2042 წლამდე დარჩება და თანაც თითქმის უსასყიდლოდ. ეს საზღვარგარეთ ყველაზე დიდი რუსული სამხედრო ბაზაა, იქ 7 ათასი სამხედრო მსახურობს. რუსეთს რაღაცები აქვს გადასახდელი, მაგრამ ეს მხოლოდ მომსახურების ხარჯებია. იჯარის თანხას რუსეთი არ იხდის. ეტყობა, რახმონმაც "გაითვალისწინა" ის, რომ კვირას პუტინსაც აქვს დაბადების დღე - მასაც 60 წელი უსრულდება. მოლაპარაკებები სხვა სერიოზულ საკითხებსაც შეეხო, მათ შორის ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებს. ამ ვიზიტის თემას დაწვრილებით კიდევ დავუბრუნდებით.

პრაღის აეროპორტს ჰაველის სახელი მიენიჭა

გუშინ ჩეხეთის დედაქალაქის მთავარ აეროპორტს ოფიციალურად მიენიჭა ამ ქვეყნის ლეგენდარული პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის სახელი და ეს საზეიმო ცერემონიაზე გამოცხადდა. ცერემონია დაამთხვიეს ჰაველის დაბადების დღეს - გუშინ მას 76 წელი შეუსრულდებოდა. ჩეხეთის ექს-პრემიერმა კარელ შვარცენბერგმა იმედი გამოთქვა, რომ ყველა მგზავრი, რომელიც პრაღას დატოვებს, პატივს მიაგებს ცნობილი პოლიტიკოსის, მწერლისა და დრამატურგის ხსოვნას. ვაცლავ ჰაველი შარშან, 18 დეკემბერს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ტუნისში არეულობის 87 მონაწილეს სიკვდილით დასჯა ემუქრება

ქვეყნის ხელისუფლება და პროკურატურა აპირებს, აშშ-ს საელჩოს შტურმის აქტიურ მონაწილეთა სიკვდილით დასჯა მოითხოვოს. ბრბოს მიერ ამერიკის საელჩოს აღების მცდელობა იმ არეულობების დროს იყო, რომელიც სექტემბერში ისლამურ სამყაროში მოეწყო და მათ შორის ტუნისში წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხმყოფელი ფილმის "მუსლიმანთა უმანკოების" ინტერნეტში განთავსების გამო. ეჭვმიტანილების ადვოკატებმა ანუარ ულედ ალიმ და მონდერ შარნიმ მედიას განუცხადეს, რომ 87 ადამიანი, რომლებიც ხელისუფლებამ უწესრიგობებში მონაწილეობის გამო დააკავა, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ მთელი რიგი ბრალდებების გამო - მათ შორის სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებზე თავდასხმისთვის. ადვოკატების სიტყვით, პროკურატურა ყველა მათგანისთვის სასჯელის უმაღლეს ზომას მოითხოვს. არეულობის დროს ბრბომ აშშ-ს საელჩოს შეუტია. ხალხმა ჩაამსხვრია შენობის ფანჯრები, ცეცხლი ნაუკიდეს შენობის წინ მდგარ ხეებს და აშშ-ს დროშის მაგივრად შავი დროშა გამოკიდეს. ხალხი შენობაში ვერ შეიჭრა. მათ შესაჩერებლად პოლიციამ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. არეულობისას 4 ადამიანი დაიღუპა, 49 დაშავდა. იმავე დღეს დაცხრილეს ამერიკული სკოლა, შენობას ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ არავინ დაშავებულა, რადგან სკოლაში იმ დროს მოსწავლეები არ ყოფილან.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ბიზნესი

მსოფლიოში სურსათი გაძვირდა

თინა შავაძე

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიოში სურსათზე ფასები სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, 1.4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, აგვისტოსა და ივლისში სურსათზე ფასები სტაბილურად ერთ დონეზე იყო.

FAO-ს ინდექსით, რომელიც სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო კალათას ეყრდნობა, ფასები გაიზარდა რძისა და ხორცის პროდუქტებზე, ხოლო მცირედი ზრდა აღინიშნა მარცვლეულზე. თუმცა, შაქრისა და მცენარეული ზეთის ფასი შემცირდა.

მარცვლეულის ფასები სექტემბერში 1 პროცენტით გაიზარდა, რამდენადაც ხორბლისა და ბრინჯის ფასმა სიმინდზე ფასის დაცემის კომპენსაცია მოახდინა.

მარცვლეულის მსოფლიო ბაზარზე ბოლო თვეებში სიმინდის ფასმა მოიმატა მისი ექსპორტის შემცირების გამო, ხორბლის მიწოდებაც შემცირდა, თუმცა ხორბლის ფასები სექტემბრის მეორე ნახევარში მაინც დაეცა, როცა რუსეთმა განაცხადა, რომ ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებას არ აპირებს. ხორცი, საშუალოდ, 2,1 პროცენტით გაძვირდა. ფასების მატება განსაკუთრებით აღინიშნა ღორის და ფრინველის სექტორში, რადგან საკვები მარცვლეული, შესაბამისად, 6 პროცენტით და 2 პროცენტით გაძვირდა.

ყველაზე მეტად რძის პროდუქტები გაძვირდა. ამ სექტორში 7-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 2011 წლის იანვრის დონეს გაუტოლდა. მყარი რჩება გლობალური მოთხოვნა რძის პროდუქტებზე - მათი ფასების ზრდაზე გავლენა საკვები მარცვლეულის გაძვირებამ მოახდინა.

FAO-ს უახლესი პროგნოზით, წელს მსოფლიოს მარცვლეულის წარმოება, გასული წლის რეკორდულ მაჩვენებელთან შედარებით, შემცირდება. თუმცა უხვი მოსავალის მოლოდინში არიან დაბალშემოსავლიანი და საკვების დეფიციტის მქონე ქვეყნები.

ამჟამინდელი პროგნოზით, მსოფლიოს მარცვლეულის წარმოება 2012 წელს 2,6 პროცენტით შემცირდა გასული წლის რეკორდულ მოსავალთან შედარებით, მაგრამ მიუახლოვდა 2008 წლის მარცვლეულის წარმოების უდიდეს მოცულობას. პროგნოზით მოცემულ საერთო შემცირებაზე გავლენა იქონია ხორბლის წარმოების 5,2 პროცენტით და საკვების მარცვლეულის 2,3 პროცენტით კლებამ.

ამან შეიძლება, FAO ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ხორბლის მარაგის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვიოს. მარცვლეულის წარმოებაზე გავლენას ახდენს გვალვა ძირითად მწარმოებელ რეგიონებში, მათ შორის აშშ-ში, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

SAMSUNG-მა ორ თვეში რეკორდული მოგება მიიღო

Galaxy-ის სმარტფონების პოპულარობამ კომპანია Samsung Electronics-ს რეკორდული მოგება მოუტანა.

სამხრეთ კორეული კომპანიის განცხადებით, ივლისი-სექტემბრის პერიოდში მან 7,3 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო, რაც თითქმის ორჯერ მეტია, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, - იუწყება "ბი-ბი-სი".

ამ მაჩვენებელმა, რომელმაც Samsung-ის აქციების ფასი 1.5 პროცენტით გაზარდა, ფინანსური ანალიტიკოსების ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ექსპერტების შეფასებით, რეკორდული მოგების მიუხედავად, Samsung-ის ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედებს Apple-თან არსებული დავა.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეს ორი გიგანტი ერთმანეთს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

აგვისტოში, კალიფორნიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, Samsung-მა Apple-ს მილიარდი დოლარის კომპენსაცია მისი პატენტების უკანონო გამოყენების გამო უნდა გადაუხადოს.

ამ მომენტისთვის Samsung-ი ცდილობს, სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვას მიაღწიოს.

ირანში ეროვნული ვალუტის კრიზისის "მთავარი დამნაშავეები" დააკავეს

ირანში 16 ადამიანი დააკავეს, რომელთაც ეროვნული ვალუტის კრიზისის ხელშეწყობაში ედებათ ბრალი. ამ პრობლემის გამო ქუჩაში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო (გუშინ ამ თემაზე დაწვრილებით წერდა "24 საათი"). დაკავებულები "უცხოური ვალუტის ბაზარზე ბოლოდროინდელი რყევების მთავარი მოთამაშეები არიან," - ნათქვამია თეირანის სასამართლოს განცხადებაში. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, დაკავებულებთა ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. აქციის ორგანიზატორთა და საეჭვო პირთა დაპატიმრება ქუჩაში საპროტესტო გამოსვლას მოჰყვა. დემონსტრანტები ქვეყნის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის საწინააღმდეგო სლოგანებსაც სკანდირებდნენ. ირანული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ასევე დააკავეს რამდენიმე "აგიტატორი" და ორი ევროპელი ტურისტი, რომლებიც საპროტესტო გამოსვლის შესახებ ინფორმაციას აგროვებდნენ.

ირანული რიალის რეკორდულ მაჩვენებლამდე დაცემა ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგია, რითიც ცდილობენ, ამ ქვეყანას ბირთულ პროგრამაზე მუშაობაზე ხელი აააღებინონ. აჰმადინეჯადი და ქვეყნის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი სანქციების შესახებ აღნიშნავენ, რომ ამ სანქციებით "მტრები" მიზანს ვერ მიაღწევენ და ეს ირანელ ხალხს უფრო დააზარალებს, ვიდრე მთავრობას. ოთხშაბათს ქუჩაში გამოსულმა დემონსტრანტებმა ნათლად მიუთითეს, რომ ისინი ქვეყნის პრეზიდენტზე არიან გაბრაზებულები.

იორდანიის მეფემ პარლამენტი დაითხოვა

იორდანის მეფე აბდულა მეორემ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად პარლამენტი დაითხოვა. არჩევნების ჩატარების შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოწერილი აქვს, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია. ცოტა ხნის წინ აბდალა მეორე აცხადებდა, რომ სურდა, პარლამენტის შემადგენლობა მომავალი წლის ბოლომდე განეახლებინა. როგორც აღნიშნავენ, ეს გადაწყვეტილება მონარქმა მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ფონზე მიიღო. აქციის მონაწილეები პოლიტიკური რეფორმების გატარებას ითხოვენ. აქტივისტებით თქმით, იორდანიელების სურვილია, ქვეყნის მართვაში მონაწილეობისთვის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ადგილობრივი მცხოვრებლები ასევე აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ კორუფციასთან ბრძოლა უნდა გააძლიეროს. მეფე აბდულა მეორემ ისიც განაცხადა, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრს პარლამენტი დანიშნავს.

დაღესტანში სამი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს

დაღესტანში სპეცოპერაციის შედეგად სამი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოს ცნობით, ოპერაციის შედეგად ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები არ დაშავებულან. "სპეცოპერაცია დასრულდა. განადგურებულია სამი შეიარაღებული მებრძოლი. მათი ვინაობა დგინდება. ამ დროისთვის მიმდინარეობს იმ ბინის დათვალიერება, სადაც მებრძოლები იმალებოდნენ," - განუცხადა "რია ნოვოსტის" სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელმა.

თურქეთში დააკავეს ლიბიაში ამერიკის ელჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილები

სტამბულში ტუნისის ორი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც სექტემბერში ბენღაზიში ამერიკის ელჩ კრისტოფერ სტივენსის მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილნი. აღნიშნულის შესახებ თურქული ტელეარხი იუწყება. ტელეარხის ცნობით, ეჭვმიტანილების აყვანა ათა-თურქის საერთაშორისო აეროპორტში მოხდა. დაკავებულები უსაფრთხოების განყოფილებაში გადაიყვანეს, მიმდინარეობს დაკითხვა. აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა, თუმცა მას ამერიკის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც ავრცელებენ.

ბაქოში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა

აზერბაიჯანში გუშინ განათლების სამინისტროსთან მორწმუნეების აქცია დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებაში გადაიზარდა. დემონსტრანტები სკოლებში ხიჯაბით სიარულზე აკრძალვის მოხსნას მოითხოვდნენ. სამინისტროსთან, დაახლოებით, 200 ადამიანი შეიკრიბა ლოზუნგით "თავისუფლება ხიჯაბს", "თავისუფლება ისლამს", "დაწყევლილნი იქნენ სიონისტები."

150-მდე პოლიციელმა აქციის დარბევა დაიწყო, ამის პასუხად პოლიციას ჯოხებსა და ქვებს ესროდნენ. შეტაკების შედეგად ათი ადამიანია დაკავებული. ორივე მხარეს არიან დაშავებულები. დაზარალებულებს შორის არის ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილე სახლაბ ბაგიროვი.

ცნობისათვის - ხიჯაბის ტარებაზე აკრძალვა 2010 წლის დეკემბერში დააწესეს.

ამერიკელი აქტივისტები პაკისტანში ამერიკის საჰერო იერიშებს აპროტესტებენ

ვარდისფერ ტანისამოსში გამოწყობილი, დაახლოებით, 35 ამერიკელი აქტივისტი დღეს ისლამაბადში იმ დემონსტრაციაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც პაკისტანის ტერიტორიაზე ამერიკის უპილოტო თვითმფრინავებიდან წარმოებული საჰაერო იერიშების წინააღმდეგ არის მიმართული. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, ომის საწინააღმდეგო ჯგუფის Code Pink-ის წევრები პაკისტანს ეწვივნენ, რათა იმ ხალხს შეხვდნენ, რომლებიც უპილოტებიდან განხორციელებულმა საჰერო იერიშებმა დააზარალა. აღნიშნული საჰაერო იერიშები პაკისტანის სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. ისლამაბადში ასეთ მოქმედებას ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქვამენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ობამა რომნის ტყუილში ადანაშაულებს

ხათუნა გაბიევი

ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო დებატების პირველი რაუნდის დასრულებისთანავე მოქმედმა პრეზიდენტმა ოპონენტის კრიტიკა დაიწყო. ბარაკ ობამა მიტ რომნის ამომრჩეველთა მოტყუებაში სდებს ბრალს. თეთრი სახლის ამჟამინდელი პატრონის თქმით, რესპუბლიკელი კანდიდატი მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ელექტორატს ჰპირდებოდა, რომ მდიდრების სასარგებლოდ 5 ტრილიონი აშშ დოლარით შეამცირებდა გადასახადებს, დებატებზე კი ამერიკელებმა სხვა მიტ რომნი იხილეს, რომელმაც თავისი დაპირება რამდენჯერმე უარყო და განაცხადა, რომ ასეთი რამ მას არასდროს უთქვამს. ბარაკ ობამამ თავის პოლიტიკურ მეტოქეს რესპუბლიკელთა პოლიტიკური პროგრამის შესახებ სიმართლის თქმისკენ მოუწოდა. **"სცენაზე გამოსვლისას საკმაოდ მგზნებარე ადამიანს შევხვდი, რომელიც გაგვეცნო როგორც მიტ რომნი. თუმცა, ის არ შეიძლებოდა მიტ რომნი ყოფილიყო, რადგან ბატონმა რომნიმ მთელი წელიწადი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობასა და მდიდრების სასარგებლოდ გადასახადების 5 ტრილიონი აშშ დოლარით შემცირების დაპირებაში გაატარა. იმ ადამიანმა კი, რომელიც სცენაზე ჩემ გვერდით იდგა, განაცხადა, რომ მას ასეთი არაფერი უთქვამს"**, - აღნიშნა ბარაკ ობამამ. დემოკრატმა კანდიდატმა ასევე იქედნურად გაიხსენა მიტ რომნის გეგმები ტელეარხ "PBS"-ის დაფინანსების შეკვეცაზე, სადაც პოპულარული საბავშვო პროგრამა "სეზამის ქუჩა" გადის. **"მადლობა ღმერთს, ვიღაცამ როგორც იქნა გადაწყვიტა "დიდ ფრინველთან" ანგარიშსწორება. როგორც ჩანს, დადგა დრო. დღემდე არ ვიცოდით, რომ ბიუჯეტის ყველა პრობლემა, სწორედ, მას უკავშირდებოდა"**, - თქვა ღიმილით ბარაკ ობამამ. ცნობისთვის, ტელედებატებზე მიტ რომნიმ განაცხადა, რომ ძალიან უყვარს "დიდი ფრინველი", რომელიც "სეზამის ქუჩის" ცნობილი პერსონაჟია, მაგრამ ეს მას ხელს არ შეუშლის შეამციროს არაკომერციული ტელეარხის ფედერალური დაფინანსება.

დემოკრატების კანდიდატის ბრალდებებს რესპუბლიკელები უკვე გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ პრეზიდენტი მსგავსი განცხადებებით საკუთარი თავის რეაბილიტაციას ცდილობს, რადგანაც მან კონკურენტთან სატელევიზიო დებატებში წააგო. "პრეზიდენტმა ობამამ მკაფიოდ ვერც კი შეძლო იმის ახსნა თუ რას მიაღწია თავისი მმართველობის პერიოდში. მას არც ქვეყნის სამომავლო ხედვა შეუთავაზებია ამომრჩევლისთვის", - თქვა თავის მხრივ რომნის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა რაიან უილიამსმა.

კომპანია "Nielsen Media Research"-ის მონაცემებით, რომელიც პირდაპირ ეთერში მიმდინარე დებატებისას კანდიდატების რეიტინგების კვლევაზე მუშაობდა, გადაცემის აუდიტორიამ 40 მილიონი ადამიანი მოიცვა. რაც შეეხება სხვა კომპანიების მიერ ჩატარებულ კვლევებს, მონაცემები თითოეული კანდიდატის ბოლოდროინდელ რეიტინგებს ასახავს. მაგალითისთვის, "Reuters/Ipsos"-ის კვლევის შედეგებით, ცხარე დებატების პირველი რაუნდის შემდეგ რომნიმ პირველად მოახერხა ამომრჩეველთა სიმპათიის პოზიტიური რეიტინგის გაზრდა. ბარაკ ობამას რეიტინგი 46 პროცენტს შეადგენს, მიტ რომნის შემთხვევაში მონაცემები ცოტა გაიზარდა და 51 პროცენტს მიაღწია. კითხვაზე, რომელ კანდიდატს მიანიჭებდით უპირატესობას ეკონომიკის მართვის ნდობაში, სამუშაო ადგილების შექმნისა და დეფიციტის პრობლემის მოგვარებაში, რესპოდენტთა უმრავლესობამ რესპუბლიკელი მიტ რომნი დაასახელა.

რაც შეეხება ბარაკ ობამას შედარებით არაპოპულარულ გამოსვლას, დემოკრატები იმედს არ კარგავენ, რომ 6 ნოემბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვითარების გამოსწორებას შეძლებენ და საამისოდ წინასაარჩევნო სტრატეგიასაც გადახედავენ. კანდიდატებს შორის კიდევ ორჯერ უნდა გაიმართოს ტელედებატები.

გაერო-მ თურქეთზე სირიის თავდასხმა დაგმო

პირველი გვერდიდან

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის უფრო მკაცრი პროექტი, რომელშიც თურქეთის სოფელ აქჩაკალეს დაბომბვა შეფასებული იყო, როგორც "საფრთხე მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის", რუსეთმა დაბლოკა.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ თურქეთის პარლამენტმა თავის არმიას თანხმობა მისცა, ქვეყნის გარეთ სამხედრო ოპერაციები ჩაატაროს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მსგავს ქმედებებს საჭიროდ მიიჩნევს. "ჩვენ გვინდა მშვიდობა და უსაფრთხოება. ჩვენ არ გვაქს ომის წამოწყების განზრახვა," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. - "მაგრამ, თურქეთის რესპუბლიკას შეუძლია, დაიცვას თავისი საზღვრები და მოქალაქეები. ნურავინ გამოცდის ჩვენს მოთმინებას," - დაამატა მან.

კანონპროექტი პარლამენტმა ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო. დოკუმენტი ხელისუფლებას უფლებას აძლევს, აუცილებლობის შემთხვევაში სირიაში ჯარები გაგზავნოს ან მეზობლის ტერიტორიაზე გარკვეულ ობიექტებზე დარტყმები განახორციელოს.

ცნობისათვის - 3 ოქტომბერს სირიის მხრიდან თურქეთის ტერიტორია დაიბომბა, რის შედეგადაც ხუთი ადამიანი დაიღუპა - ერთი ოჯახის წევრები. ამის პასუხად თურქეთის არტილერიამ სირიის სამხედრო ობიექტი დაბომბა. სირიის ოპოზიციის განცხადებით, შეტევის შედეგად რამდენიმე სირიელი ჯარისკაცი დაიღუპა.

თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბეშირ ატალაიმ განაცხადა, რომ სირიამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და ბოდიში მოიხადა: "სირიამ განაცხადა, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდება. ეს კარგია," - აღნიშნა მან და დასძინა, რომ მათ შორის მოლაპარაკებას გაერო შუამდგომლობდა. ცოტა ხნით ადრე თურქეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს თხოვნით მიმართა, სირიის მოქმედებები განეხილათ და სირიის აგრესიის შესაჩერებლად აუცილებელი ზომები მიეღოთ. ბრიუსელში, ასევე თურქეთის თხოვნით, სასწრაფოდ მოიწვიეს ნატო-ს სხდომა მუდმივი წარმომადგენლების დონეზე. შეხვედრაზე გაკეთდა განცხადება, რომ ალიანსი მხარს უჭერს თურქეთს და თვისი მოკავშირის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებების შეჩერებას მოითხოვს. ალიანსი მოუწოდებს სირიის ხელისუფლებას, ბოლო მოუღოს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებს.

პრეზიდენტ ბაშარ ასადის წინააღმდეგ ამბოხების დასაწყისში თურქეთის მიმართულებით რამდენჯერმე გახსნეს ცეცხლი, თუმცა უკანასკნელი ინციდენტი ყველაზე სერიოზული იყო. ჭურვი აქჩაკალეს ერთ-ერთ ეზოში ოთხშაბათ საღამოს აფეთქდა, როდესაც იქ მცხოვრები ოჯახი სადილისთვის ემზადებოდა. აფეთქების შედეგად დაიღუპა დედა, მისი სამი შვილი და დეიდა. თურქეთის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლის განცხადებით, ქვეყნის არტილერიამ ხუთშაბათს სირიის ტერიტორიაზე, ტალ აბიადის რაიონში, საზღვრიდან 10 კილომეტრში არსებული სამიზნეები დაბომბა. "თურქეთი უპასუხოდ არ დატოვებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ სირიის რეჟიმის მხრიდან მსგავს პროვოკაციებს," - ნათქვამია პრემიერ-მინისტრის კანცელარიის განცხადებაში.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრისას მკაცრად დაგმო მომხდარი და განაცხადა, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს დიდი ყურადღებით და შეშფოთებით აკვირდება. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა არაერთხელ განაცხადა, რომ ალიანსი სირიის მოვლენებში ჩარევას არ აპირებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მზად არის, თურქეთი დაიცვას.

პარალელურად, თვით სირიაში არ წყდება ბრძოლები ასადის ერთგულ არმიასა და ამბოხებულებს შორის. ქალაქ ჰომსში ამბოხებულთა პოზიციები ავიაციამ დაბომბა. ჰომსზე ასეთი მასირებული საჰაერო იერიში ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში აღარ ყოფილა. იბომბებოდა, ძირითადად, ქალაქის ერთ-ერთი რაიონი - ხალდია. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის. რეჟიმის შეიარაღებულ ძალებსა და "სირიის თავისუფალ არმიას" შორის შეტაკებები სხვა ქალაქებშიც გრძელდებოდა, მათ შორის ალეპოში, ჰამაში და დედაქალაქ დამასკოში.

არტისტერიუმი

"პროტესტი, რომელიც არასდროს მთავრდება"

გუშინ საღამოს, თბილისის ისტორიის მუზეუმში ქარვასლა" მეხუთეთ გაიხსნა ტანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი არტისტერიუმი". წელს მისი სლოგანია პროტესტი, რომელიც არასდროს მთავრდება".

ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა გამოფენები, გაიმართება პრეზენტაციები და ლექციები, თბილისის სხვადასხვა ადგილას 13 ოქტომბრამდე გასტანს.

"არტისტერიუმი" თანამედროვე ხელოვნების განვითარებასა და საერთაშორისო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ემსახურება.

5 ოქტომბერი, პარასკევი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,

18:00 - "არტისტერიუმი 2012"-ის გახსნა.

6 ოქტომბერი, შაბათი

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ჭანტურიას 8,

12:00 - "Nine Dragon Heads" (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;

14:00 - გალერეა "Y"-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელორუსია;

16:00 - "ბანერები და დღიურები", პოლონურ-ბელორუსული საგამოფენო პროექტი;

18:00 - ვიტალი კომარის საჯარო ლექცია /"კომარი და მელამიდი"/, აშშ.

7 ოქტომბერი, კვირა

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის 6,

14:00 - "ჯვარედინი დამტვერვა", ლორა სენსონი /აშშ/, "ქართული ტექსტილის ჯგუფი", "ლურჯი სახლი" /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;

გალა გალერეა, ათონელის 27,

19:00 - "ცა - 24 საათი", კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.

8 ოქტომბერი, ორშაბათი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,

13:00 - "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", Ghana ThinkTank-ის ვორკშოფი;

15:00 - იარო სლეპს, ჰიპ ჰოპი - ტექსტი/ტემპი, ვორკშოფი, აშშ;

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,

14:00 - კენეტ ჰიუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;

17:00 - "სამყურა", საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გუდიაშვილის 7,

19:00 - საშა ჭავჭავაძე, "ტანსაცმელი რევოლუციისთვის", ლადო ფოჩხუა, "წიგნი ახალი ქართული

არისტოკრატიისთვის", აშშ.

9 ოქტომბერი, სამშაბათი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,

14:00 - ჯოანა ფოიტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ; გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის 16,

17:00 - "ზებრა", პოეზიაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი /გერმანია/; რუსთაველის თეატრი, რუსთაველის გამზირი 17;

20:00 - "საწყისში დაბრუნება", მარია საფრონოვა /რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე /საქართველო/.

10 ოქტომბერი, ოთხშაბათი

ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი,

19:00 - "მსხვერპლშეწირვა - სტატიკური დრამა", გიორგი ჯანიაშვილი, დავით ჯანიაშვილი.

12 ოქტომბერი, პარასკევი

"სვლა", სარა პელერენ-ოტ, გიომ შოსონ, საფრანგეთი, პერფორმანსი ტექსტით და მუსიკით, ორგანიზებული ფრანგული ინსტიტუტის მიერ, /ადგილი და ზუსტი დრო გამოცხადდება არტისტერიუმის მსვლელობისას/

13 ოქტომბერი, შაბათი

ელიავას ბაზრობის ტერიტორია,

14:00-18:00 - "აღმოაჩინე ელიავა: სტრიტვაიზ - ღია სახლი", ერთდღიანი ფესტივალი, ადგილ-სპეციფიკური

ინსტალაციები, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;

15:00 - Ghana ThinkTank, "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", ინტერაქტიული სკულპტურა/პერფორმანსი;

17:00 - ჰიპ ჰოპ პერფორმანსი, იარო სლეპს/ირაკლი მაღრაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თომას ვოლფჰართ

მოსმენილ ლექსს, წაკითხულისგან განსხვავებით, ის ხიბლი აქვს, რომ ავტორი იქნება ეს თუ უბრალოდ, დეკლამატორი, თავისი დამატებითი იმპულსი შეაქვს მასში, თითქოს იმის გამხელა ხდება, რაც ავტორმა სტრიქონებს შორის იგულისხმა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოში ყველაზე დიდი პოეზიის საიტის www. lyrikline.org. -ის შემქნელმა, ბერლინის ლიტერატურული სახელოსნოს ხელმძღვანელმა, ლიტერატურათმცოდნე თომას ვოლფარტმა უპირველეს მიზნად დაისახა მასზე ლექსების აუდიო ვერსიების განთავსება, რომელსაც თავად ავტორი კითხულობს. საიტი მუდმივად ივსება ახალ-ახალი ხმებით და დღეისათვის მასზე 57 ენაზე დაწერილი 822 პოეტის 8 ათასამდე ლექსია წარმოდგენილი, რაც მე-20 საუკუნის დასწყისიდან დღემდე.

პოეზიი საიტის ნავიგაცია გერმანულ, სლოვენურ და არაბულ ენებზეა შესაძლებელი, სულ მალე კი მას ესპანური, პორტუგალიური და ესტონური ენებიც დაემატება. რაც შეეხება ავტორებს და ენებს...

"მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ძალიან გვიყვარს, დაბეჭდილი პოეზია მაინც ნახევარია იმისა, რასაც ლექსი ჰქვია. პოეზია მაშინ ჩანს კარგად, როცა მას ადამიანი კითხულობს, როცა გვესმის მისი ხმა, ტემბრი, ვიბრაცია. მიკითხველს შეუძლია ჩვენს საიტზე წარმოდგენილი ყველა პოეტის ხმის მოსმენა ავტორის მშობლიურ ენაზე, ხოლო იმისათვის, რომ ლექსი ფართო საზოგადოებისათვის გახდეს გასაგები, ვათავსებთ მის თარგმანებსაც. ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა გერმანიიდან, ამისათვის ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურულ ინსტიტუციებთან, რომლებიც არჩევენ ავტორებს და გვიგზავნიან მათ ლექსებს. ისინივე გვეხმარებიან საავტორო უფლებების მოგვარებაში, უზრუნველყოფენ აუდიო ჩანაწერების პროცედურას და არჩევენ ლიტერატურულ ლანდშაფტს - რა სჯობს, იყოს წარმოდგენილი მათი ქვეყნიდან მსოფლიო პოეზიის რუკაზე" - ამბობს თომას ვოლფარტი.

საქართველოში პოეზიის საიტის პარტნიორია ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც აწვდის ასევე ლესების ბწკარედულ თარგმანებს გერმანულ ენაზე, საიტის ადმინისტრაცია კი მათ პოეტურად ხვეწს. ქართულმა მხარემ www. lyrikline.org. -თან თანამშრომლობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო. პირველად აიტვირთა ბესიკ ხარანაულის, ზვიად რატიანის, გაგა ნახუცრიშვილისა და რატი ამაღლობელის ლექსები. გუშინ კი, ლიტერატურის მუზეუმში, საზოგადოების თვალწინ დოქტორმა თომას ვოლფარტმა საიტზე კიდევ რამდენიმე ქართველი პოეტის მაია სარიშვილის, დიანა ამფიმიადის, პაატა შამუგიას და ალექს ჩიღვინაძის ხმა დაამატა. იგივე წარმატებით შეგვიძლია განვათავსოთ საიტზე ქართველ კლასიკოსთა ხმები აკაკი წერეთლის "განთიადიდან" დაწყებული, თუკი მათი შესაბამისი თარგმანებიც გვექნება.

პოეზიის საიტის პრინციპი სამ ასპექტს მოიცავს: წაკითხვა, მოსმენა და გაგება, რაც სხვადასხვა ენებზე თარგმნას გულისხმობს. თარგმანების შესრულება კი ყველას შეუძლია, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი მწერლის, ნებისმიერ ენაზე, ვისაც ამის ნიჭი და სურვილი აქვს, რასაც საიტის ადმინისტრაცია სიამოვნებით განათავსებს ავტორის გვერდზე. ამით საიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირერიცხოვანი ერების პოეტებისათვის, რადგან სწორედ თარგმანების დახმარებით აწვდიან ისინი ხმას მსოფლიო საზოგადოებას. მაგალითად, სლოვენი პოეტის თომას შალომონის ლექსები საიტზე 20 ენაზე შესრულებული თარგმანითაა წარმოდგენილი, რაც უშუალოდ ამ საიტის მეშვეობით განხორციელდა.

www. lyrikline.org. -ი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის ყველაზე დიდ არქივს წარმოადგენს და არაერთი პრიზი აქვს მიღებული, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რადგან იგი კულტურათა ინტეგრაციასაც უწყობს ხელს.როგორც თომას ვოფარტმა აღნიშნა, გერმანია თავის თავს ყოველთვის უწოდებდა მწერლებისა და მოაზროვნეების ქვეყანას, მაგრამ მისი პოეზიის მიმართ მსოფლიო ინტერესი შენელდა, მას შემდეგ რაც ბერთოლდ ბრეხტი, გოტფრიდ ბენი და პაულ ცელანი გარდაიცვალნენ, თითქმის აღარაფერი ითარგმნებოდა გერმენულიდან სხვა ენებზე. პოეზიის საიტმა ხელი შეუწყო გერმანული ლიტერატურის გარეთ გატანას, ასევე მისი მეშვეობით მოხდა მსოფლიო პოეზიის ახალი სახელების გერმანულენოვან სივრცეში გამოჩენა. ამ ეტაპზე, როცა ქართული პოეზია ძალიან მცირედ, ანდა თითქმის სულ არაა ცნობილი დანარჩენი მსოფლიოსათვის, პოეზიის საერთაშორისო საიტებზე ქართველი ავტორების განთავსება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, ისევე როგორც მისი დახმარებით თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გაცნობა, რომლის შესახებაც ასევე ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. ვფიქრობთ, www. lyrikline.org. -ი საქართველოშიც გააქტიურებს მთარგმნელობით პროცესებს.

დღეს www. lyrikline.org. -ის მიხედვით მუშაობენ მსოფლიო ფესტივალები, გამომცემლობები, ლიტერატურის ინსტიტუტები, ენის შემსწავლელი კურსები და სკოლებიც კი, რადგან აქ პოეზიის ორიგინალში მოსმენა და წაკითხვაა შესაძლებელი. აქ წარმოდგენილია ასევე ვიზუალური პოეზიის ნიმუშები, რომელთა თარგმანი, წესისამებრ, იშვითად კეთდება და საბავშვო ლექსებიც.

სტატისტიკით, საიტს რვა მილიონამდე მომხმარებელი ჰყავს, რომელთა უმრავლესობა ნაშუადღევს სტუმრობს, დაახლოებით ლანჩის დროს, და სტუმრებს შორის, მე-10 ადგილას არაბული ქვეყნები დგას თურმე. ჩანს, პოეზია აღმოსავლეთში კვლავაც არ კარგავს ხიბლს.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

2012 წლის 8 ოქტომბერს 10:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის (ICMS) 37-ე საერთაშორისო კონფერენციის შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს" გახსნა.

2012 წლის 8-12 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმი თბილისში (საქართველო) მასპინძლობს UNESCO-ს სისტემაში შემავალი, მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის (ICMS) ყოველწლიურ კონფერენციას - შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს".

კონფერენციის მიზანია წარმოადგინოს მსოფლიოს წარმატებული ნიმუშები და ისეთი მუზეუმების უსაფრთხოების სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა ბერლინის მუზეუმის კუნძული, პრაღის ეროვნული გალერეა, ჩინეთის მუზეუმი და სხვა.

კონფერენციაში მონაწილეობენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის მუზეუმების უსაფრთხოების განყოფილების დირექტორები, წამყვანი მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების მენეჯერები და უსაფრთხოების სისტემაში ფართოდ აღიარებული სპეციალისტები. ფორუმის მთავარი თემაა: მუზეუმების ძირითადი უსაფრთხოების სისტემები, კოლექციების ევაკუაცია, თანამშრომლებისა და კოლექციების უსაფრთხოება.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტი (ICMS), საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ICOM-ის ეროვნული კომიტეტი საქართველოში.

იკომოს საქართველო არის არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც მიზნად ისახავს მემკვიდრეობის რესურსის კონსერვაციას. ის დაარსდა 1993 წელს როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს ეროვნული კავშირი. იკომოს საქართველოს მისიაა ეროვნულ დონეზე გაავრცელოს და დაამკვიდროს კონსერვაციის საერთაშორისო სტანდარტები. ამ მიზნით, იკომოს საქართველოში ფუნქციონირებს თემატური სექციები (ხალხური არქიტექტურა, ისტორიული დასახლებები, კულტურული ტურიზმი, სარესტავრაციო მეთოდოლოგია) და აგრეთვე ხორციელდება არაერთი პილოტური პროექტი, რომელშიც პრაქტიკულად გამოიყენება საერთაშორისოდ აღიარებული საკონსერვაციო მეთოდოლოგია.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 75

1.საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2.პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი სარგებლობს ხელშეუხებლობით (იმუნიტეტი), რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას. თუმცა დასაშვებია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ პარლამენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

იმპიჩმენტის პროცედურით გათვალისწინებულ დასკვნას პარლამენტისათვის გადასაცემად ამზადებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომლის შემადგენლობაშიც არიან სასამართლოს ხელმძღვანელები (თავმჯდომარე და მისი მოადგილეები), უზენაესი სასამართლოს ყველა სხვა წევრი, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხს განიხილავს და წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, რომელიც შედგება საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრისაგან, ხოლო სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ - კონსტიტუციის დარღვევა დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა. თუ პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყების დღიდან 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო 1 წლის განმავლობაში დაუშვებელია პრეზიდენტისთვის იმავე ბრალდების წარდგენა.

დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო და საომარი მდგომარეობის, ან ომის დროს. გარდა ამისა დაუშვებელია იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა საქართველოს მთავრობის ფორმირების პროცესის დაწყებიდან აღნიშნული პროცესის დასრულებამდე.

ვერიკო ლატარია
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

მუხლი 76

1.საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდნეტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში , აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის თავჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავჯდომარის მოვალეობას , პარლამენტის თავჯდომარის დავალებით ასრულებს პარლამენტის თავჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. პრემიერ მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2.პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ი" პუნქტით და 74-ე მუხლი პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, აგრეთვე დაითხოვოს პარლამენტი.

3.პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის ფროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, რაც იწვევს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას მის მოვალეობას ასრულებენ ამ მუხლში ჩამოთვლილი პირები. ამგვარი წესი ხელს უწყობს სახელმწიფო ხელისუფლების შეუფერხებელ ფუნქციონირებას. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ფაქტი, როგორ წესი, დასტურდება პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების გამოცემით ან პრეზიდენტის მიერ შესაბამისი საჯარო განცხადების გაკეთებით. თუ პრეზიდენტი მოკლებულია უნარს ან შესაძლებლობას, გამოსცეს სამართლებრივი აქტი ან გააკეთოს საჯარო განცხადება მაგალითად, პრეზიდენტის ადგილსამყოფელი უცნობია, პრეზიდენტი კომაში იმყოფება და ა.შ. ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა უშუალოდ არ არეგულირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელებლობის შეუძლებლობის ფაქტის დადასტურების პროცედურას, მაგრამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტის მიერ უფლაბამოსილების განხორციელების შეუძლებლობის მდგომარეობის არსებობის თაობაზე საკუთარი პასუხისმგებლობით იღებს შესაბამისად პარლამენტის თავჯდომარე ან პრემიერ მინისტრი.

პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, ამ პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას იგი ბრძანებით ავალებს ერთ-ერთ მოადგილეს, რასაც პარლამენტი ადასტურებს დადგენილებით. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლაბამოსილი არ არის განახორციელოს პრეზიდენტის შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) დაითხოვოს პარლამენტი; ბ) გადააყენოს მთავრობა; გ) თანამდებობიდან გაანთავისუფლოს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები; დ) შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი. აგრეთვე დანიშნოს რეფერენდუმი. პრეზიდნეტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება.

აკაკი კუბალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, სოფარიანი ა.მუსაიმიძის, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

შენგელია და ტელეტოვიჩი

პირველი გვერდიდან

თორნიკე შენგელია (20) "ბრუკლინის" ვარჯიშზე

"ნეთსმა" დაიტოვა დერონ უილიამსი და დერონთან ორი ევროპელი ირბენს. თოკო რეალური ძალაა. ამერიკელებისთვის. ჩვენთვის. ყველასთვის. "ბრუკლინის" საიტზე საინტერესო მასალა დადეს. ჩვენი ბიჭი და ტელეტოვიჩი იმ მასალაში სოლირებენ.

შენგელია ნაკრებში მეოთხე ნომერია და "ბრუკლინის" მთავარი მწვრთნელი, მისტერ ეივერი ჯონსონი თოკოში მსუბუქ ფორვარდს ხედავს. ჩვენი ბიჭი უმატებს, მაგრამ ჯონსონი ჯერ არ ავლებს პარალელებს ედი მერფის კლასიკასთან Coming to America. იქ მერფის პერსონაჟს კიკინას აჭრიან და 10 დოლარს ახევენ. იქ მერფის პერსონაჟი ნაღდი ამერიკელივით, "ზანგურ" ტანსაცმელს ატარებს. იქ მერფის პერსონაჟი ბოლომდე მიდის და ამერიკულ აისბერგში სითბოს პოულობს. ის მერფის პერსონაჟი ჯონსონისთვის თოკოა და ეივერი ყველაფერს სწრაფად ითვისებს, მაგარი ბიჭიაო, თქვა.

ჯონსონი: "თოკო დაცვაში მაგრად დგას. არ აინტერესებს ვის იჭერს, რამდენი სეზონი აქვს იმ ტიპს ლიგაში ჩატარებული და რა კონტრაქტზე ზის. შენგელია ასრულებს მწვრთნელის დავალებას და ამას ლტოლვით, მაგრად აკეთებს. უკან არ იხევს და ეს უკვე მომწონს. ბიჭს ბევრ შანსს მივცემთ და გავხსნით. თოკო უკვე კარგად თამაშობს და უკეთ უნდა ითამაშოს."

მაგარი სიტყვებია. ეივერი ჯონსონიც მაგარი კაცია. გრეგ პოპოვიჩის სკოლაში ჯონსონი ფრიადოსანი, სანიმუშო მოსწავლე იყო. არ აგვიანებდა გაკვეთილებზე, გრეგს ყურადღებით უსმენდა და "სან ანტონიოსთან" ერთად ჩემპიონი (1999) გახდა. იმ სუპერფინალში, "ნიუ იორკთან" პოპოვიჩის მკვლელებმა "ნიქსი" 4:1 დაშალეს და ბოლო თამაშის ბოლო სროლა ჯონსონმა ხია. "ნიქსი" 77:76 იგებს და "სან ანტონიოს" ცოტა წამი რჩება. ჯონსონმა კუთხიდან გაუშვა ბურთი, ჩასვა და ის გარჩევა 78:77 დაიხურა.

თორნიკე უნივერსალია. იდგება მესამე ნომერზე და სხვა მსუბუქ ფორვარდებს სიმაღლით გადაუჯოკრავს. ავა მეოთხეზე და მძიმე ტირანოზავრებს სისწრაფით დააგდებს, რამსებს აურევს. შენგელიამ საქართველოს ნაკრებთან ერთად მოუმატა და თორნიკეში დიდი პოტენციალი, ნიჭი, პროგრესის სურვილია. ჯონსონი ამას ხედავს.

თორნიკე შენგელია: "განსაკუთრებულ გუნდში ვარ. დერონი (უილიამსი), ჯო (ჯონსონი) ლიდერები, უფროსი მეგობრები არიან. ბევრი მაქვს ასათვისებელი და პროცესი საინტერესოდ დაიწყო. ბიჭებთან ერთად ვერთობი, თავს კარგად ვგრძნობ. თუ ვარჯიშზე გაუპარსავი მივდივარ, ავიწყდებათ, რომ პირველწლიანი ვარ. "ბრუკლინს" კარგი სეზონი ექნება. იმედი მაქვს, მეც ნორმალურად ვითამაშებ."

თორნიკე ევროპაში უკვე ნორმალურ დროს იღებდა და "ბრუკლინის" მწვრთნელებმა ფორვარდი ეგრევე აიყვანეს. ეგრევე, საზაფხულო ლიგაზე კარგი თამაშის შემდეგ. იქ შენგელია სტაბილურად, აგრესიულად აკეთებდა საქმეს. ეივერი ჯონსონი შენგელიას "იუტას" ყოფილ ფორვარდს, შენდონ ანდერსონს ადარებს. ანდერსონი თავისი გენერაციის ერთ-ერთი საუკეთესო პერსონალური დამცველი და უნივერსალი იყო. თოკოს აქვს ანდერსონის დაცვა და მეოთხე ნომრის მოძრაობები და ბიჭი ყველაფერს სწრაფად, ელეგანტურად აკეთებს.

ტელეტოვიჩს პრობლემები ჰქონდა. ბოსნიელი ბოსნიის ნაკრებში ვარსკვლავია. ტელეტოვიჩი იქ ბევრს ისვრის და ბევრს აგდებს. ამერიკაში სხვა, უფრო ფიზიკური, მძიმე და ათლეტური დაცვის წინააღმდეგ თამაში უნდა ისწავლოს. მირზა ამერიკაში მესამეზე იდგება და ფორვარდი მოუმატებს.

"ბრუკლინში" ორი ახალი, საინტერესო პერსონაჟია. ქართველი თორნიკე შენგელია და ბოსნიელი მირზა ტელეტოვიჩი. 20 წლის თოკო ყველაფერს სწრაფად ითვისებს, ასაკს ინტელექტით უსწრებს, ძალიან საინტერესოა. ტელეტოვიჩი იცვლება და ევრობასკეტის ვარსკვლავი ახალ გუნდში ახალ კალათბურთს ეჩვევა. "ბრუკლინმა" ორი საჭირო მოთამაშე დაიმატა. ეივერი ჯონსონს გაუმართლა.

ალბათ, თორნიკესაც. მირზასთან ერთად.

ყვავის ტუზი რუსული ბრუკლინიდან

ზურაბ თალაკვაძე

მიხაილ პროხოროვი კარგი მენეჯერია. ჯო ჯონსონი ასრულებს. "ბრუკლინში" თოკო შენგელია თავის დროს მიიღებს. ახალ ბენდში მირზა ტელეტოვიჩმა რვა ან მეტი მეტრიდან ორი ან სამი სამიანი უნდა ხიოს. "ნეთსის" სამწამიანთან ჯერალდ უოლასი იდგება და ფიქსატორის წკაპით ცუდ ბიჭებს თავაზიანად საუბარს ასწავლის. უოლასი პროხოროვის დენი ტრეხოა. რუსმა რეპის და კრიმინალების უბანში ჩაფსკვნილი, ჭკვიანი, ძალიან სერიოზული ფლეიმეიქერი მიიყვანა. შარშან მიიყვანა და შარშან "ბრუკლინი" "ნიუ ჯერსი" იყო. ის გუნდი იმ ჯიუტი მასტის ფეხებით, მუხლებით, თითებით და ინტელექტით იგებდა. ბევრს ვერ იგებდა და რეგულარული 22 მოგებით, 44 ვერმოგებით და ბევრი ცუდი მოგონებით დახურა. ის ფლეიმეიქერი დერონ უილიამსია და დერონის პროგრესით "ბრუკლინი" აქაჩავს.

MVP სხვა ტერიტორია და თეთრი მგლების ნაკრძალია. თეთრი მგელია კევინ ლავი. ნაკრძალში გულაობის უფლება აქვთ ლებრონს, კობის, დუეინს, დუიტს და თუ კარგად მოიქცევა, ჰერ დირკს. ადრე იქ ტიმი და კევინიც სეირნობდნენ და პატარა მგელუკებთან ერთად პოპკორნზე იჯდნენ, პეპსის წრუპავდნენ. დღეს იმ ტერიტორიაზე ორი პატარა კაცი ისეირნებს. კრის პოლი კალიფორნიიდან, "კლიპერსის" ზედაში და დერონ უილიამსი პროხოროვის საარჩევნო კომიისიდან. რუსმა მიშამ დერონი მაჟორიტარად გაიყვანა და მისტერ უილიამსმა უნდა აკრიფოს. უილიამსი შარშან კარგი იყო. ახალ, უკეთეს, შეცვლილ გუნდში დერონიც ახალი და უკეთესი იქნება. ყველა ვარიანტში უნდა იყოს.

დერონი შარშან - 21.0 ქულა, 8.7 პასი, 3.3 მოხსნა, 1.1 ჩაჭრა. ქულებს მოაქვს, კარგია. პასების ამბავში დერონს ამაზე ნაკლები დაიმი (4.5) მხოლოდ პირველ (2005/06) რეგულარულში ჰქონდა. ის დერონი პატარა ბიჭი იყო და უბანში, კარგი ბიჭებისგან კარგი კალათბურთის თამაშს ამუღამებდა. უილიამსმა მოუმატა და "იუტამ" ჯონ სტოქტონი შეცვალა. ნუ, რაღაც ამბავში ბოლომდე ვერ შეცვალა და დერონმა ანდრეი კირილენკოსთან, კარლოს ბუზერთან ერთად ახალი ჯაზი დაუკრა. ჯაზი მაგარი იმპროვიზაციით და არითმიით. ჯაზი ჯაზის გურმანებისთვის, ბუთხუზა პიანისტებისთვის, ვისკიში ჩაწოლილი გიტარისტებისთვის და კალათბურთზე შემჯდარი ნარკომანებისთვის. ერთი დოზა საკმარისი არ იყო



"ბრუკლინის" ბოსი დერონ უილიამსი

და ორგანიზმი მეტს ითხოვდა. თვალებში სულ დერონი იყო. დერონით სხეული ეშვება და სიმშვიდე, სითბო მოაქვს. უილიამსმა დევიდ სტერნის ლიგაში გეტო გაშალა. თავისი, პერსონალური, უხეში და დერონის დოზაზე შემდჯარი გეტო. იმ გეტოდან დერონი პროხოროვმა "ნეთსში" წაიყვანა, რუსი გოგოები დაუდაქალა და წითელ ხიზილალაზე შესვა. დერონს გოგოები მოეწონა, ხიზილალა - ისე რა და უილიამსმა "ნეთსს" მომავალი გადაუშალა. იმ მომავალში დერონი ყვავის ტუზი იყო და ჩანდა. თუ პროხოროვი დუაიტ ჰოვარდს დაკერავდა და პროვინციულ სამოთხეში გაასეირნებდა, უილიამსი მაგარი ცენტრით ლებრონს პრობლემებს შეუქმნიდა. ჰოვარდი და უილიამსი ამ გენერაციის მეჯიქი და ქარიმია. ჰოვარდი "ლეიკერსში" მიდის და პროხოროვმა დერონს ჯონსონი უყიდა. კრის ჰამფრიზს კონტრაქტი შეუნარჩუნა, ჯერალდ უოლასს საბანკო ანგარიშზე მაგარი კუში დაუსვა და ბრუქ ლოპესს დიმა ბილანის ავტოგრაფი აჩუქა. სამახსოვროდ, ბილანისგან ლოპესს. ბრუქი დააჯერეს, რომ ბილანი რუსების ელტონ ჯონია. ჯორჯ მაიკლის და ოფიციალური (მამაკაცი) მეუღლის გარეშე. სოლიდური თემაა. და უილიამსიც სოლიდური იქნება.

"ბრუკლინმა" ამ დერონთან ერთად უნდა მოუმატოს. შარშან უილიამსი ბევრს ისროდა, ინერციით შედიოდა სამწამიანში და ბევრ არასასროლს ისროდა. დერონი ბოსი იყო და რეგულარულის პროცესში, ბოსი დაიღალა, ბევრი საქმე გააფუჭა და უბანში დაიწყეს ჭორაობა, დერონი მოლბა, თავისი ვეღარ გაქვს და პატივისცემის ამბავშიც ვეღარო...

უილიამსმა თამაშიდან სროლების 40.7 % ჩასვა. ცუდია. დერონისთვის ცუდია.

"ნეთსის" მთავარი მწვრთნელი ეივერი ჯონსონი დერონს კარგ, მოწესრიგებულ გუნდს აჩუქებს. გუნდს, რომელიც უდერონოდ არ გაიქცევა და გუნდს, სადაც დერონი რეი ჩარლზი იქნება. Hit the road Jack and don't you come for more...

უილიამსმა უნდა მოიგოს და "ბრუკლინი" აღმოსავლეთში "მაიამის" დაღლის. პროცესში, დერონი ჰარმონიკაზე წაუსოლოებს და პროხოროვი რეის კლასიკაზე შეჯდება.

ამ "ბრუკლინში" დერონი ბევრისგან ბევრს მიიღებს.

კიტ ბოგანსმა "ჩიკაგოდან" 5.1 ქულა, სადისტური დაცვა და მაიკლ ჯორდანის რამდენიმე დივიდი წამოიღო. სასადილოში, ჩიზბურგერის ათვისების დროს ჩაუჯდება მაიკლს.

მარშონ ბრუქსიც კარგი ბიჭია. ამბობენ, რომ კალათბურთის აზრზეა და ზედმეტი არ იქნება.

ჯოშ ჩილდრესი "ატლანტაში" კალათბურთს თამაშობდა, საბერძნეთში ბერძნებს ("ოლიმპიაკოსს") წეწავდა და ამერიკაში დასასვენებლად დაბრუნდა. უნდა წამოიღოს.

რეჯი ევანსი "კლიპერსში" ბლეიქ გრიფინს და დეანდრე ჯორდანს თეძოებს უმასაჟებს და 4-5 მოხსნას იღებს. რეჯი იგივეს "ბრუკლინში" გააკეთებს. კარგი მასაჟი და რამდენიმე მოხსნა რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს.

კრის ჰამფრიზმა შარშან 13.8 ქულა, 11.0 მოხსნა დაიტოვა. დაკარგა ორი კბილი, დალეწა ორი "პორშე", დაკერა ორი მოცეკვავე გოგონა და მაგარი გაერთო. ჰამფრიზი "ბრუკლინის" კევინ ლავია. სამიანის და ლავის გარეშე.

სი ჯეი უოთსონმა "ჩიკაგოში" დერიკ როუზის დრო მიიღო. დერიკი შეკერეს და უოთსონი "ბულზის" პირველ ხუთეულში იდგა. ახალ გუნდში ტომ ტიბოდოს დაცვა წამოვა. სი ჯეი - დი ჯეი. დერონიც დაისვენებს.

ანდრეი ბლატჩე შარშანწინ 16.8 ქულას და 8.2 მოხსნას იღებს. ეს "ვაშინგტონში" ხდებოდა. ანდრეი ბლატჩე (ახალი კონტრაქტით) შარშან 8.5 ქულას და 5.8 მოხსნას იღებს. ისევ "ვაშინგტონში". ობამას ტერასიდან ბლატჩე გამოაგდეს, "წადი შენი" ბევრჯერ დაუმარცვლეს და კალათბურთის ლომბარდში ჩააბარეს. ბლატჩე პროხოროვმა წამოიყვანა. თუ ითამაშებს, მიშა ანდრეის პირად დაცვაში დააყენებს.

ჯერი სტექჰაუზმა ლიგაში რამდენიმე სადოქტორო დაიცვა. რამდენიმე სადოქტორო ჰაშიშთან მეგობრობის გამო დაკარგა. რამდენიმე სადოქტორო დასაცავი აქვს. ჯერი კარგი ბიჭია. პროხოროვმა, დერონმა და მისტერ ჯონსონმა სტექჰაუზისგან 16 227 (17.4) ქულა, 3 205 (3.4) პასი და 958 ზუსტი სამიანი მიიღეს. სტექჰაუზი საჭირო ბიძაა.

დანარჩენებში პატარა ბიჭები, პირველწლიანი პერსონები და ჯონსონები, უოლასები, ლოპესები ზიან. დერონი გაერთობა და ეს "ბრუკლინი" ბევრს მოიგებს. უნდა მოიგოს.

ალბათ, მიხაილ პროხოროვი კარგი მენეჯერია. ალბათ, ჯო ჯონსონი შეასრულებს. ალბათ, "ბრუკლინში" თოკო შენგელია თავის დროს მიიღებს. ალბათ, ახალ ბენდში მირზა ტელეტოვიჩმა რვა ან მეტი მეტრიდან ერთ თამაშში ორი ან სამი სამიანი უნდა ხიოს. ალბათ, "ნეთსის" სამწამიანთან ჯერალდ უოლასი იდგება და ფიქსატორის წკაპით ცუდ ბიჭებს თავაზიანად საუბარს ასწავლის. უოლასი პროხოროვის დენი ტრეხოა. რუსმა რეპის და კრიმინალების უბანში ჩაფსკვნილი, ჭკვიანი, ძალიან სერიოზული ფლეიმეიქერი მიიყვანა. შარშან მიიყვანა და შარშან "ბრუკლინი" "ნიუ ჯერსი" იყო. ის გუნდი იმ ჯიუტი მასტის ფეხებით, მუხლებით, თითებით და ინტელექტით იგებდა. ბევრს ვერ იგებდა და რეგულარული 22 მოგებით, 44 ვერმოგებით და ბევრი ცუდი მოგონებით დახურა. ის ფლეიმეიქერი დერონ უილიამსია და დერონის პროგრესით "ბრუკლინი" აქაჩავს.

ლიგის ნაკრძალში ახალი მგელი შევიდა. ჯერ სიტუაციას აკვირდება და მალე ნაკრძალს ჩაიბარებს.

ბექა ბურჯანაძე: "ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ"

პირველი გვერდიდან

- შენთვის გამოკვეთილი პოზიცია რომელია?

- ვარჯიშებზე უფრო ხშირად მძიმე ფორვარდად მიწევს თამაში, თუმცა მწვრთნელი მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზეც მამწესებს. ჩემთვის ორივე ადგილზე თამაში კომფორტულია. სამქულიანების სროლა ისედაც მიყვარს, ფარქვეშ ძალისმიერ ორთაბრძოლებში ჩაბმასაც არ ვერიდები.

- აქამდე ძირითადად "კახასოლის" ასაკობრივ გუნდებში თამაშობდი. აღნიშნული ახლაც მოგიწევს?

- არა, ახლა მხოლოდ დიდ გუნდში ვარ დაკავებული. კლუბთან სამწლიანი, პროფესიონალური კონტრაქტი გავაფორმე.

- ძირითად გუნდში რამდენჯერმე გასულ წლებშიც გამოჩნდი...

- კი, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა. მაშინ უფრო ვარჯიშით ვიყავი დაკავებული და სულ რამდენიმეჯერ მომიწია "კახასოლის" მაისურით მოედანზე გასვლა.

- "კახასოლმა" პირველ ტურში შინ "მურსიასთან" წააგო. ამ სეზონში თქვენი გუნდის მიზანი რა იქნება?

- პირველი მატჩი იყო და ალბათ ამის ბრალია, რომ დავმარცხდით. "კახასოლს" მთელს პრიმერადივიზიონში ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს. კიდევ უფრო შევთამაშდებით და მჯერა, რომ სეზონს ღირსეულად ჩავატარებთ.

- გასულ ზაფხულში საქართველოს 2 ასაკობრივ ნაკრებში ითამაშე...

- 20-წლამდელებში თამაშით უდიდესი გამოცდილება მივიღე. ძალიან მიხარია, რომ 18-წლამდელებთან ერთად უფროსი ასაკის ნაკრებში თამაშის შესაძლებლობაც მომეცა. A და B დივიზიონებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ელიტარულ დივიზიონში თამაშით დიდი გამოცდილება მივიღე, რომელიც ჩემი პროფესიული ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

- საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 20-წლამდელთაგან 5 კალათბურთელი გამოიძახეს. ხომ არ თვლი, რომ გამოძახებას შენც იმსახურებ?

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. შესაძლოა, ჯერ არ ვარ მზად, მაგრამ მთელი სეზონი წინ მაქვს. ესპანეთში ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელი მავარჯიშებს და იმედი მაქვს, როგორც კალათბურთელი, კიდევ უფრო დავიხვეწები. ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და მასში მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ.

http://www.gbf.ge/

მოურინიო: "ელ კლასიკოზე" სამყარო ჩერდება"

"ელ კლასიკო" დიდი ხანია ბრენდია. "ბარსელონა" VS "რეალი" გაყიდვადი პროდუქტია. მთლიანად პრიმერა დივიზიონია გაყიდვადი. ამიტომაცაა, რომ 7 ოქტომბერს "კამპ ნოუზე" დატრიალებულ მოვლენებს ასე მოუთმენლად რომ ელის საფეხბურთო სამყარო. ახლახანს გახსნილი დამოუკიდებელი 24-საათიანი ამერიკული ტელემაუწყებლობა beIN Sport პირველი ექსკლუზივისთვის ემზადება და საკუთარ ვებ-გვერდზე "რეალის" პორტუგალიელ დამრიგებელ ჟოზე მოურინიოსთან ინტერვიუს აქვეყნებს. ინტერვიუ კი ერთგვარი პრევიუა 7 ოქტომბრის ლეგენდარული საფეხბურთო დაპირისპირებისა, რომელიც თავის მხრივ ესპანეთის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ჩარჩოებშია მოქცეული.

ახალბედა ამერიკული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუმდე მოურინიო Goal.com-ს ესაუბრა. მასაც ვეცნობით.

"სამეფო კლუბის" პორტუგალიელი დამრიგებელი დარწმუნებულია, რომ "ელ კლასიკო" მსოფლიო მასშტაბის არაორდინალური მოვლენაა.

კატალონიელები მადრიდელებს სატურნირო ცხრილში მთელი რვა ქულით უსწრებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ "რეალისთვის" საბედისწერო იქნება ქულების დაკარგვა.

"როდესაც "მადრიდი" ეთამაშება "ბარსელონას", სამყარო ჩერდება, - თავისებურად აფასებს მოურინიო სამკვდრო-სასიცოცხლოდ მოკიდებული გუნდების მომავალ შეხვედრას. - ესაა თამაში, რომელსაც ვაღმერთებთ, ჩვენც და დანარჩენი სამყაროც. ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ მატჩი".

მოურინიო "ელ კლასიკოზე" აღმატებულად საუბრისას იმასაც გვახსენებს, რომ "ბარსაზე" გამარჯვება იმდენივე ქულას იძლევა, რამდენსაც სხვა მეტოქეებზე მოგება.

"არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. და მაინც, აქ მხოლოდ სამი ქულის აღებაა შესაძლებელი. შარშანდელთან შედარებით დიდი სხვაობა იმაშია, რომ მაშინ "რეალი" არ იყო საჩემპიონო გუნდი. დღეს კი ჩვენ ჩემპიონები ვართ".

beIN Sport -თან დაპირებული ინტერვიუც სწორედ ამ თემით იწყება:

- რა განსხვავებაა შარშანდელსა და დღევანდელ "რეალს" შორის, რომელმაც მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყო?

- უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ შარშან არ ვიყავით ჩემპიონები, წლეულს კი, ჩემპიონებად ვიწოდებით. ჩემი აზრით, პრიმერა დივიზიონის მიმდინარე გათამაშება არცთუ წარმატებულად სწორედ ამის გამო დავიწყეთ. თუ შეგიძლია უმაღლეს დონეზე ითამაშო სუპერთასზე და ჩემპიონთა ლიგაზე, რატომ არ შეიძლება იგივეს ლა ლიგაზე? ასეთი სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელდება.

- მალე "ელ კლასიკო" გელით. რას ნიშნავს თქვენთვის ეს თამაში?

- "ბარსელონასთან" მუდამ დიდი სიხარულით ვთამაშობთ. ეს დაპირისპირება დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. დარწმუნებული ვარ, იგივეს განიცდის მოწინააღმდეგეც. სწორედ ამიტომ, "ელ კლასიკო" ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ლა ლიგას ნებისმიერი ჩვეულებრივი მატჩი. "რეალისა" და "ბარსელონას" დაპირისპირებებისას ფეხბურთის გულშემატკივარს საკუთარი თავი ავიწყდება და მთელი სულით და გულით მატჩზეა კონცენტრირებული. სტატისტიკამ ცხადყო, რომ ესპანეთის სუპერთასის თამაშებმა უფრო მეტი მაყურებელი მიიზიდა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის ზოგიერთმა შეხვედრამ. როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. და მაინც "ელ კლასიკოც" იმდენივე ქულას იძლევა, რამდენსაც სხვა დანარჩენი შეხვედრები. კვირას პრიმერა დივიზიონის ერთი რიგითი მატჩი გაიმართება უშუალო მეტოქეებს შორის, რომლის შედეგადაც ერთი გუნდის მიერ სამი ქულის აღება, მეორის უქულოდ დარჩენის ტოლფასი იქნება.

- რა არის საჭირო ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად და რა გზა მოინიშნეთ?

- ყველაფერი უმნიშვნელო დეტალებზეა დამოკიდებული. ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ გასულ სეზონში "ჩელსი" არ იყო მსოფლიოს საუკეთესო გუნდი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა მაინც მას დარჩა. ამან ძალიან გამახარა, რადგან გარკვეულწილად მეც ყოფილი "ჩელსელი" ვარ. იმისათვის, რომ ჩემპიონთა თასის მოგებაზე იფიქრო, ჯერ მეოთხედფინალამდე, ან ნახევარფინალამდე უნდა გააღწიო. აი, ამის მერე კი იწყება ფიქრი საბოლოო წარმატებაზე. ჩვენ გვსურს თასის მოგება, მაგრამ წარმოუდგენლად რთულ ჯგუფში მოვხვდით, სადაც თამაშობენ ესპანეთის, ინგლისის, გერმანიისა და ჰოლანდიის ჩემპიონები.

- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით. დაბრუნდებით ინგლისში?

- ახლა იქ ვარ ბედნიერი სადაც ვიმყოფები. "რეალთან" კიდევ ოთხწლიანი ხელშეკრულება გავაფორმე - ეს მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალია. ინგლისსა და იტალიაში მუშაობის შემდეგ, ჩემს კარიერას სწორედ "რეალი" აკლდა. ახლა აქ შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა ვაჩვენო. ყველამ იცის, რომ მე და ჩემი ოჯახი თავს ბედნიერად ვგრძნობდით ლონდონში. ალბათ ოდესმე იქ კიდევ დავბრუნდები, რადგან მსურს მრავალი წლის განმავლობაში ვიყო მწვრთნელი. დიდი ხნით მადრიდში გაჩერება ძალიან რთული იქნება.

- როგორ აკეთებთ არჩევანს ბენზემასა და იგუაინს შორის? რა აქვს ერთს ისეთი, რაც არ გააჩნია მეორეს?

- ბენზემა მოედანზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. მე ის შემიძლია დავაყენო როგორც 9, ასევე, 10 ნომრად. იგუაინი კი უფრო კლასიკური სტილის თავდამსხმელია, რომელიც მომენტის დასაგვირგვინებლადაა შექმნილი. ასე რომ, ორივე მჭირდება. მათ შორის სათამაშო დროის გადანაწილება იოლი საქმე არაა. აუცილებელად ვატარებ მომავალი მატჩის ანალიზს. ჩემი ფორვარდების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ მეტოქის ტაქტიკას, შემდეგ კი უშუალოდ თამაშისთვის ვარჩევთ საკუთარ სტილს.

- პსჟ არ გიზიდავთ? დათანხმდებოდით საფრანგეთში მუშაობას?

- მეხუთე ქვეყნის ჩემპიონობა შესაძლოა, ჩემთვის მოტივაცია ყოფილიყო. პსჟ მზარდი, ხარისხიანი პროექტია, სადაც ანჩელოტი და ლეონარდო მუშაობენ. არა მგონია, პარიზული კლუბი დღეს ჩემით იყოს დაინტერესებული.

"ლიგამუსი" ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს ჰოლანდიაში გამართავს

ჰოლანდიის ქალაქ ნიჟვერდალში გაემგზავრა წყალბურთში საქართველოს ჩემპიონი "ლიგამუსი-თბილისი", რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს, 6 ოქტომბერს, ადგილობრივ "შუურმანთან" ჩაატარებს.

"ლიგამუსი-თბილისმა", რომელსაც რევაზ ჩომახიძე წვრთნის, თბილისში გამართული საკვალიფიკაციო წრე წარმატებით გაიარა და ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები "ეგერი" (უნგრეთი), "სპარტაკ ვოლგოგრადი" (რუსეთი), "ვასპო-98 ჰანოვერი" (გერმანია), "ვულიაგმენი" (საბერძნეთი) და "შუურმანი" (ჰოლანდია) იქნებიან.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გუნდები შინ და სტუმრად თითო-თითო შეხვედრას ჩაატარებენ, ჯგუფიდან კი პლეი-ოფში ოთხი საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გავა. ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონს ტურნირი უნგრული მატჩით უნდა გაეხსნა, თუმცა "ეგერთან" შესარკინებლად საიზო პრობლემების გამო ვერ გაემგზავრა.

თბილისის "ლიგამუსის" შემადგენლობა: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, კოტე გეგელაშვილი, სანდრო რუსიშვილი, ლევან ჩიკვინიძე, ტატო ნიკოლაიშვილი, ზუკა რურუა, მიხეილ ბაღათურია, ალექსანდრე ურუშაძე, გალაქტიონ ლაითაძე, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი და გიორგი ქართველიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რევაზ ჩომახიძე.

სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური

ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი

გიგა გურასაშვილი

როჯერ ფედერერს მოკვლით ემუქრებიან.

უახლოეს დღეებში მსოფლიო სპორტმა შესაძლოა დიდი დანაკლისი განიცადოს. მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი შესაძლოა 6 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოესალმოს. ყოველ შემთხვევაში ამას წინასწარმეტყველებს ჩოგბურთის უცნობი ჩინელი მოყვარული.

"6 ოქტომბერს ფედერერის მოკვლას ვაპირებ, რათა გავანადგურო ჩოგბურთი", - ერთ-ერთი ჩინური საიტი გვამცნობს უცნობი წინასწარმეტყველი, რომელიც საზოგადოებას თავს აცნობს, როგორც Blue Cat Polytheistic Religion Founder 07. ხელმოწერის გვერდზეა განთავსებული ფოტო მომავლიდან, რომელზეც ნიღბიანი უცნობი ხელში ცულით თავმოკვეთილ ფედერერს დაჰყურებს.

სავსებით შესაძლებელია, რომ მსგავსი წინასწარმეტყველება ასრულდეს კიდეც, რამდენადაც შვეიცარიელი ჩოგბურთელი ახლა სწორედ ჩინეთში იმყოფება - უშუალოდ "სიკვდილის ანგელოზის" სიახლოვეს. საქმე ისაა, რომ შანხაი "მასტერსის" სერიათა ტურნირს მასპინძლობს და მასში სხვათა შორის როჯერ ფედერერიც მონაწილეობს. ისიც უნდა ითქვას, რომ "მხიარულ როჯერს" ჩინურ კორტებზე თან ახლავს მისი ოჯახი - მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ქვეყანაზე შეშლილების მეტი რაა, ჰოდა, ჩინეთის ხელისუფლებამ ასეთი მუქარა სერიოზულად აღიქვა. არც არის გასაკვირი, ქვეყანაში, სადაც ლამის მილიარდნახევარი ადამიანი ცხოვრობს, პროცენტულად მატულობს ალბათობა გამოიძებნოს ვინმე ტვინნაღრძობი. მაგალითად, ადამიანები მომავლიდან, რომლებმაც ის ფოტო განათავსეს ინტერნეტში.

ჰოდა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, აქაოდა სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ჩინელებმა ფედერერს დაცვა გაუძლიერეს. შვეიცარიელთან ერთად დანარჩენ ჩოგბურთელებსაც დაუქირავეს დაცვის სამსახურის თანამშრომლები.

კონსპირაციის მიზნით სასტუმროდან კორტებამდე ჩოგბურთელს გააცილებს პოლიციელთა ესკორტი მთელი თავისი ბრწყინვალებით - ციმციმებით.

ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მავანი ცდილობს შეცვალოს მსოფლიო ჩოგბურთის ბედი. 1993 წლის ჰამბურგის ტურნირზე გერმანელი "კეთილმოსურნე" კორტზე შეიჭრა და დანით დაჭრა მონიკა სელეში. მოგვიანებით ფანატიკოსმა აღიარა: "შტეფი გრაფს სელეშის სახით წინაღობა ჩამოვაშორეო. არადა, მიყენებული ჭრილობის შემდეგ ამერიკელი ჩოგბურთელი ვერა და ვერ შევიდა ფორმაში.

იმ შემთხვევაში, თუ Blue Cat Polytheistic Religion Founder 07-ის წინასწარმეტყველება ასრულდება, ეს იქნება მორიგი უსიამოვნო ეპიზოდი შვეიცარიელის ცხოვრებაში. ისტორიას ჯერაც ახსოვს 25 წლის კიში მუდის ისტორია. დაახლოებით ექვსი წლის წინათ, შვეიცარიელი ჩოგბურთელის თავგადაკლულმა ამერიკელმა გულშემატკივარმა გოგომ, რომელიც ფედერერის მატჩზე დასასწრებად მიიჩქაროდა, სარკინიგზო მაგისტრალზე გადარბენისას გოგორწყვილების (მატარებლის ბორბლები) ქვეშ მოექცა, რაც მას ორივე ფეხის დაკარგვად დაუჯდა.

ამ ისტორიასთან ღიმილის მომგვრელია უკვე თავად ფედერერის კონტაქტი გულშემატკივართან - "როლან გაროს" ფინალში თამაშისას სპორტული ხულიგნობით ცნობილი ესპანელი ჯიმი ჯამპი (ნამდვილი სახელი და გვარია ჟაუმე მარქუე ი კოტი) კორტზე ალმით ხელში შევარდა და ფედერერისთვის მისი საფირმო წითელი ქუდის დახურებას შეეცადა.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა ARTANUJI

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე